

2633  
1948



# საქართველოს ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

## „LE DESTIN DE LA GÉORGIE“

Recueil Historique, Scientifique et Littéraire Géorgien.

Rédacteur en chef : K. SALIA. 8, rue Berlioz, Paris (16<sup>e</sup>). Tél.: Passy 75-35.

№ 2

ოქტომბერი — 1948 — OCTOBRE

№ 2

### შ ი ნ ა ა რ ს ი :

1. რედაქციისაგან.
2. გრიგოლ რობაქიძე — თანამემამულეთა მიმართ.
3. პროფ. მიხეილ წერეთელი — ქართული ენის ნათესავობის საკითხისათვის.
4. გრიგოლ რობაქიძე — ქართული შაირი.
5. აკაკი პაპავა — პეტერბურგის ქართველთა ახალი ცდები და 1804 წლის ამბები (ერთი გამოუქვეყნებელი დოკუმენტის გამო).
6. ექ. ვახტანგ ღამბაშიძე — ადამიანის ჯანმრთელობის საკითხი.
7. გიორგი ურული — მოგონებებიდან.
8. ა. დ - ძე — ლეგენდარული ბეთლემი.
9. გიორგი კერესელიძე — ბეთლემის აღმოჩენის შესახებ.
10. გ. რ. — ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი; ვერის ხილზე.
11. ა. დ - ძე — მგოსნის დღიური.
12. ქრონიკა.

### რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

ჩვენი ჟურნალის გამოსვლას ქართველობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა. მსოფლიოს ყოველი კუთხიდან, სადაც კი იმყოფებიან ჩვენი გადმონახვენილი თანამემამულენი, მოგვდის წერილები კმაყოფილებისა და გამხნიეების.

ჟურნალის გეზი მოწონებულ იქმნა ქართულ წრეებში. გვთხოვენ განვაგრძოთ ეს ეროვნული საქმე აღებულ ხაზით.

ჩვენს ვეცდებით ჩვენი მოვალეობა პირნათლად შევასრულოთ და ამით ჩვენდამი გამოცხადებულ ნდობა თანამემამულეთა გავამართლოთ.

ემიგრაციაზე ბევრი რამ არის გაკეთებული ჩვენი ეროვნების დიდმა მნიშვნელოვანი. მოიპოვებებიან ქართველნი, რომელთაც მოთავებულნი

აქვთ ფრიად საინტერესო შრომანი, გამოსაცემად გამზადებულნი. დავასახელებთ აქ შრომებს პროფ. მიხ. წერეთლისა: „ვეფხისტყაოსანი“ (სამიტომი), და „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ვარიანტის ტექსტები: „ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისა“, „მატიანე ქართლისაი“, ცხოვრება თამარ - მეფისა („ისტორიანი და აზმანი“ შოთა რუსთაველისა!), ჯამთა - აღმწერლის თხზულება და ვახტანგ მეფის ცხოვრება, აგრეთვე „ქართული გრამატიკის“ შესახებ, მისი ახალი აღმოჩენა და სხვა. შრომებს სხვა ავტორებისა შემდეგ ვაუწყებთ მკითხველს.

ქართული ემიგრაცია საშვილიშვილო საქმეს გააკეთებს, თუ ამ შრომათა გამოცემაში დაეხმარება „ბედი ქართლისას“.

თ ა ნ ა მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა მ ი მ ა რ თ

როცა ჩვენი დიდი მოსანი ვაჟა საქართველოს დედა-ქალაქში 1915 წელს ზაფხულში სულს ლევდა, სულთმობრძავმა მოინატრა ფოთოლსაყრილი ტოტები რომელიმე ხისა და ანკარა წყაროს წყალი. მიუტანეს ტოტები, მიუტანეს წყალი. ტოტები გარს შემოიხრია მომაკვდავმა, ხალასი წყალი იგემა. შემდეგ თვალი მოავლო საყვარელ მიდამოს და სული განუტევა. ეზიარა მშობლიურ მიწას და უკანასკნელად მის წმინდა საშოს ზიარებულნი გადავიდა „იმ“ სოფელს. ამ აქტივად გამოხატა მან: თუ როგორ ღრმად ვართ ჩვენ ქართველნი მიკრულნი ჩვენს „დედა-მიწას“. ძველად ქართველი უცხოეთისაკენ გამგზავრებისას პირველ ყოვლისა სამგზავრო ჩანთაში ერთს ნატებს თავის მიწისა ჩანდებდა, რათა უცხოეთშიაც ეგზნო ერთყოფა დროებით მოწყვეტილ სამშობლოსთან. გასაგებია, თუ რადაა, სხვებთან შედარებით, ასე აუტანელი ქართველ ლტოლვილთა ყოფა.

გაბნეულნი ვართ ლტოლვილნი სხვადასხვა მხარეში: ზოგი საფრანგეთში, ზოგი გერმანიაში, რიგი იტალიაში თუ ავსტრიაში, რიგი ინგლისში თუ ამერიკაში. ვართ მოწყვეტილნი არა თუ მარტო სამშობლოს ჩვენსა, არამედ ერთიმეორესაც აქაც: გადმოხვეწილობაში. თანადროული ებოქის უკულმართობა სხვათა შორის იმაშიც გამოიხატება, რომ ცოცხალნიც ერთი მეორისათვის მკვდარნი ვართ: გაწყვეტილია ყოველგვარი კავშირი. საჭიროა შევქმნათ ერთგვარი კერა აქ, რათა მის ყუდრო ცეცხლთან მცირეოდენ მაინც ვიგემოთ სითბო ჩვენთვის დაკარგული სამშობლოსა. ასეთ კერად სურს გახდეს შურნალს „ბედი ქართლისა“.

ეს შურნალი არაა პოლიტიური. იგი პოლიტიკაზე მაღლა დგას, როგორც ზეპოლიტიური ორგანო. საქართველო მეტია ვიდრე რომელიმე პოლიტიური პარტია. ჯერ ქართველი უნდა იყვე და მერე რომელიმე დაჯგუფების მიმდევარი. თუ ეს არ იქმნა გულვებულო, მაშინ პარტიული კაცი თავის დარაზმულობაშიაც ვერ გაიყვანს სალოდნელს, სულ ერთია, იყოს იგი: მარქსელი, ნაციონალდემოკრატი, თუ თეთრგორგელი, ან კიდევ რომელიმე სხვა. აი ამ ზეპარტიული ფენის გადმოშლა სურს „ბედი ქართლისა“.

ეს შურნალი უნდა გახდეს კერად გადმოხვეწილ ქართველთა: კერად სულისა და გონისა. იქ

უნდა გადმოიშალოს ქართველთა გულის თუ მაჯის ცემა. ეს გულისცემა თუ მაჯისცემა ერთსნეულ გვეოფს გადმოხვეწილებს: ლხინში თუ ქირში. უნდა იქმნას „გამომიგნული“ დიდი ქარდუს გენია: მისი მზეოხანი გონი. უნდა იქმნას გზნებით გადმოფურცლული მისი ისტორია, ეგზომ გულისხმიერი. უნდა იქმნას დაცული მისი „მოდგმა“ და მისი ხასიათი: რაინდულ გულგახსნილი. უნდა იქმნას მზიურ რკალებში გაშლილი მისი სწორუბოვარი ენა, მისი გონმეტყველი სიტყვა. ერთი სიტყვით, „ქართლის ცხოვრება“ უნდა იქმნას გაგრძელებული. შევძლებთ ამას, მაშინ გადმოხვეწილობაც გაგვიადვილდება. კიდევ მეტი: მაშინ ჩვენი მოვალეობაც იქნება ასრულებული სამშობლოს წინაშე: საკრალური მოვალეობა.

მართალია „სპეცები“ სამეცნიერო თუ სამწერლო დარგში ბევრი არა გვყავს აქ, ხოლო რამოდენიმენი მაინც მოპოვებიათ. რაც გაგვაჩნია, ის მაინც უნდა გამოვიყენოთ. შემოქმედებითი ენერგია, იყოს იგი სულ მცირე, რაიმე ნაყოფს მაინც გამოიღებს: და „ნაყოფი“ სტატისტიკით არ განიზომების, მისი მაღლი ყოველთვის ზღვარდაუდებელია.

ესაა შურნალის გეზი, ესაა მისი საქმე. შურნალს ნივთიერი დანმარება ეჭირვება: აი აქ იწყება ჩემი მომართვა თქვენდამი. გთხოვთ გულით, ქართული წრფელი გულით: გაუწიოთ ეს დანმარება შურნალს.

მეტყვეან: ლტოლვილებს თვითონ არა გააჩნიათ რაო. მართალია, ეს ჩემთვისაც ნათელია. ხოლო სულ მცირე რამ ხომ აქვთ მაინც! აი ამ მცირედიდან გაიღონ მცირეოდენი! ესეც დიდი დანმარება იქნება. აქა-იქ შეძლებულნიც მოგვეპოვებიათ—იმათ კი პირდაპირ „მოვთხოვ“ დანმარებას. ნუ გამიწყრებიან ამ სიტყვისათვის. ქართველი ფულს „ხელის ჭუჭყს“ უწოდებს—აი კიდევ ერთი მახასიათებელი ნიშანი ქართველთა: გულგახსნილობასთან მათ „ხელგაშლილობაც“ ახასიათებთ. დავიჯერო, რომ უცხოეთში ეს უმშვენიერესი თვისება მათ დაჰკარგეს? არ შემოძლია ეს დავუშვა! მაშ დანმარეთ შურნალს! მე არ მგონია, რომ რომელიმე ქართველს ჩემი სახელი არ გაეგონოს. ყველამ იცის, რომ მე „თხოვნა“ არ მიყვარს, პირიქით: ვავურბი მას. და თუ ესლა „თხოვნისათვის“ ავსძარი ენა—ალბათ რაღაც დიდი რამ მაძულებს ამას. იყავით

ქართული მნის ნათესავობის საკითხისათვის \*)

(დასასრული)

ჩვენი პირველი შრომა ქართულისა და სუმერო-რულის ნათესავობისათვის ჩვენ ქართულად გამოვაქვეყნეთ 1912 წელს („გვირგვინ“-ში, თბ. 1912 წ.), მაგრამ ეს ნაბეჭდი იყო ნიმუში ქართული დაუდევრობისა და სხვისი შრომის უპატრონო-ყოფისა გამომცემლისაგან. ჩვენ უცხოეთში ვიყავით და ალბათ ამიტომ ერთი კორრექტურაც არ მიგვიღია, ისე დაიბეჭდა შრომა, და ისე დამახინჯებულად, რომ ხორციელი კაცი ვერ გაიგებს, რა სწერია შიგ.\*\*) ხოლო 1913 - 1916 წლ. უფრო ვრცლად გამოვაქვეყნეთ იგივე გამოკვლევა ინგლისურად ბრიტანიის „აზიური საზოგადოების“ ჟურნალში, და შემდეგაც შემთხვევა გვქონია სხვა და სხვა ენებზედ სხვა და სხვა გამოცემებში ჩვენი აზრი გვეთქვა ქართულისა და სუმერულის ნათესავობის შესახებ. მეცნიერთ ისე ჰქონდათ თავი მობეზრებული უმრავლეს უნაყოფო შედარებათაგან სუმერულისა სხვა ენებთან, აგრეთვე ბევრი ისე დარწმუნებული იყო მის „თურანულობაში“, რომ ამ ახალ „ქართულ“ თეორიას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. მაგრამ არც ჩვენ მიგვიქცევია არავითარი ყურადღება მათი უყურადღებობისათვის და განვაგრძობდით როგორც სუმერულის შესწავლას, ისე ქართულის საიდუმლოებათა კვლევას.—განვლით ხანმა და „სუმერული საკითხი“ კვლავ დადგა. მიაქციეს ყურადღება ჩვენ თეორიასაც და შეეცადენ სუმერული ახლა „კავასიურ“ ენებთან დაეკავშირებიათ. მაგრამ სა-

უბედუროდ დიდმა ასიურიოლოგებმა, როგორც ტიურო-დანენმა, მამა შაილმა, სუმერულის სპეციალისტმა პოებელმა, და სხვათ თავისი სიტყვა არ თქვეს (როგორც პირადად მომისმენია ტიურო-დანენისაგან, მას აღარც აინტერესებდა სუმერულის ნათესავობის საკითხი, ამდენ უნაყოფო ცდათა შემდეგ მისი ვადაწყვეტისა). ხოლო ერთმა ნაკლები წონის მეცნიერმა, ექტორ კრი-სტიანმა („ბაბილონიაკა“ XIV, 1931) სუმერული აუარებელ ენას და ენათა ჯგუფს შეადარა—სემურს, ინდოევროპულს, თურანულს და სხვ. და „კავასიურს“, რომელთანაც ის სუმერულის უმეტეს ნეთესავობას ჰხედავდა. მაგრამ გარდა იმისა, რომ პირველადვე შეუძლებელია ერთ ენას ამოდენ სხვა და სხვა ენასთან გენეტიური ნათესაობა ჰქონდეს (და ჩვენ აქ ეს გვაინტერესებს), მისნი შედარებანი ყოველად შეუწყნარებელი არიან. მართა მის მიერ შედარება მისგანვე თვით-ნებურად შეცვლილ სემურ-სუმერულ ძირთა კმარა, რომ მისი ცდა სრულად უნაყოფოდ მივიჩნიოთ. ჩვენი თეორიის იგი წინააღმდეგი არ არის. მხოლოდ პრიორიტეტს ჩვენსას უარ-ჰყოფს, — პირველად სუმერულისა და ქართულის ნათესავობა ჩვენსა კრამარქმა აღნიშნა 1896 წელსო. ეს რასაკვირველია მართალი იქმნება, მაგრამ საუბედუროდ კრამარქის შრომაზედ არც წინად გვსმენია რამ და ვერც შემდეგ ჩანგდეთ იგი ხელში, მიუხედავად დიდი ცდისა, და არ ვიცით, რა ცოდნით და რა მეთოდით შეადარა მან ქართული და სუმერული. ყოველ შემთხვევაში ჩვენი თეორია ჩვენი კვლევის შედეგია დამოუკიდებლად კრამარქისაგან სრულად და საესებით. — ვ. კრისტიანი აგრეთვე მეთოდს გვიწუნებს (მარჩმაც დაუწუნა მეთოდით, ბრძანებს ჩვენზედ იგი). მაგ. სუმერულ სიტყვის - -ძი-რთა პირველ - ყოფილი ფორმა უნდა აღგვედგინა ქართულ (აღდგენილვე) ძირებთან შესადარებლად და სხვ. მაგრამ სუმერულის მკვლევარი რომ ამას იტყვის, იგი მხოლოდ იმეორებს ზოგად მოთხოვნილებას ენათ - მეცნიერებისა პირველ - ყოფილ ფორმათა და ძირთა აღდგენისა და არ აქცევს ყურადღებას იმას, თუ რა სახით გვაქვს დაცული სუმერული ძირები. თრ - თანხმოვანი ძირები მოცკოვება სილაბარებში, მაგ. სუმ. du-ug (dug) = ბაბილ. ქიბლ. ამატუ, „თქმ-ა“, „სი-ტყ-ვა“ (სუმ. ღუგ = ქართ. თქ-ტყ-), უკვე

\*) იხ. დასაწყისი „ბედი ქართ.“, № 1.  
 \*\*) იგივე ბედი კწვია ჩვენ სიტყვას წარმოთქმულს ილ. ჭავჭავაძის ჩამოსვენებისას თბილისში, იმავე დაუდევრობით გამომცემელთა. ამას აღვნიშნავ მაშინდელი დროის უცნაურობის მოსაგონებლად, — მხოლოდ.

მხნედ და მარჯვედ, ანუ როგორც იტყოდენ ჩვენი წინაბრები: იყავით მზეგრძელ! ნუ მოგაკლთ უფალმა მადლი ქართული მიწისა!  
 თქვენი წინასწარ მადლობელი —

გრიგოლ რობაქიძე





„პირველყოფილი“ სახით და ყოველი ცდა მისი უპირველ - ყოფილესი სახით აღდგენისა ამაო და შეცდომაშია. შემყვანი ცდა იქმნებოდა, ყოველ- შემთხვევაში არა საჭირო შედარებასათვის, რასაც სწორედ ვ. კრისტინანის „აღდგენანი“ მოწმობენ საუკეთესოდ. ქართულ ძირთა ხსენებას და „აღდგენას“ კი იგი როგორღაც ერიდება, ალბათ იმიტომ, რომ აქ მას უფრო ადვილად გაუწევდენ კონტროლს. ხოლო „მეთოდს“ რაც შეეხება, აქ კიდევ ეს უნდა შეენიშნათ, რომ ჩვენთვის ის „მეთოდია“ მიუღებელი, როდესაც მეცნიერი სხვის თეორიას თითქმის არ უარ - ჰყოფს, მაგრამ უპატიო - ჰყოფს, ხოლო მისგან აღნიშნული მაგალითებით თვისი თეორიის გასამართლებლად სარგებლობს, ვითარცა უკეთესისა!

ვაგროვებით რა ახალ ფაქტებს დასამტკიცებლად იმისა, რომ რაც უფრო ირვევოდენ საიდუმლოებანი სუმერულისა და ქართულისა, მით უფრო ცხადდებოდა გენეტიური ნათესავობა მათ შორის, ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეკვლია ბუნება ურარტულისა და მნიშვნელობა მის სიტყვათა, რათგანაც არსებობს რწმენა ურარტულის და ქართულის ნათესავობისა, და თუ ეს ნათესავობა მართლა აღმოჩნდებოდა, იგი დაუკავშირებდა ურარტულს აგრეთვე სუმერულს და ამგვარად სამი მონათესავე ენა გვექმნებოდა იმ თავისებურ ენათაგან, რომელთა რიცხვს ეკუთვნის ქართული, სუმერული და სხვა. ხოლო ურარტული, როგორც უკვე ვთქვით, თითქმის სრულად გამოუკვლეველი იყო. გარდა რაოდენიმე ფორმის სწორად აღნიშვნისა და რაოდენიმე სიტყვის მნიშვნელობის მხედვლისა, ურარტულში დანამდვილებითი და საფუძვლიანი რამ არ იყო ცნობილი. ჩვენ დავიწყეთ მით, რომ მარის მიერ 1916 წ. სომხეთში აღმოჩენილ და ფოტოგრაფიულად გადაღებულ თითქმის უნაკლოდ შენახულ ტექსტებს ჩაუვკვირდით და ხანგრძლივი კვლევის შემდეგ აღმოვაჩინეთ თითქმის ყველა გრამმატიკული ფორმა, რომელიც ტექსტებში გვხვდება, თავს - დებულნი ზმნათა და ბოლოს = დებულები სახელთა, ბრუნვის დაბოლოებანი, ნათესაობითის ბრუნება, ობიექტიური სუფიქსები ზმნის ფორმათა შემდეგ და სხვა, რაც უკვე წარმოდგენას ვეძლევა ურარტულ გრამმატიკაზედ. აგრეთვე გამოვარკვიეთ სიტყვათა საგრძნობელი რიცხვის მნიშვნელობა, რომელიც სულ სხვა იყო, ვიდრე წინად ეგონათ. ამგვარად ტექსტთა თარგმანს აზრი მიეცა, აღმოჩნდა სტილიც ურარტულ წარწერათა. ესე

ყოველი უკვე ნამდვილი და მკვიდრი საფუძველი იყო ურარტულის კვლევისა და ჩემი პირველი შრომის შემდეგ, რომელიც ჰაიდელბერგის სამეცნიერო აკადემიამ გამოსცა 1928/29 წელს, და ჩვენ აღმოჩენათა ცნობით განავრძეს ურარტულის კვლევა ჩვენთან ერთად გერმანელებმა პრ. ა. გოეტემ და პრ. ი. ფრიდრიხმა. მათ ზოგიერთ ჩვენ შეცდომაზედ მიგვითითეს, ჩვენც მათ შეცდომებზედ ვაპყრობდით მათ ყურადღებას, და ასე შეერთებული ძალებით წინ წავსწიეთ ურარტულის ნამდვილი შესწავლა. ფრიდრიხმა გამოსცა შესავალი ურარტული გრამმატიკისა, ჩვენც ურარტული გრამმატიკა კი, უფრო ვრცელი, დაიბეჭდა ნაწილ - ნაწილად ფრანგულ ასსირიოლოგიურ ჟურნალში *Revue d'Assyriologie* (1933 - 1936 წ.). ძველი ურარტოლოგები, განსაკუთრებით ლემან-ჰაუპტი, დაგვეცენ გააფრთხულნი, ჯერ ჩვენ\*) და მერმე გოეტეს და ფრიდრიხს. მათ აპყვა რუსი მეშჩანინოვი. ყოველი ღირებას მოკლებული სიტყვებით გაგვიმასპინძლდენ ივინი და ძველ მათ უაზრობას ახალს, უარესს ზედ პრთავდენ. ჩვენც უპასუხოდ არ დავგვიტოვებია მათნი თავს - დასხმანი. მერმე ისინი დადუმდენ, ვერ შესძლეს რა დაემტკიცებიათ მკირეოდენი რამ მაინც მათ ძველ შეხედულებათა დასაცავად და გადასარჩენად.

და რა გამოიარკვა ჩვენთვის, როდესაც ასე შესწავლილი ურარტული შევადარეთ ქართულს? გამოიარკვა უეჭველად, რომ ქართულსა და ურარტულს შორის არ არსებობს გენეტიური ნათესავობა, გარდა რაოდენიმე გრამმატიკული თვისებისა (მაგ. ნათესაობითის ბრუნება, პრეფერბები და სხვ.) და რაოდენიმე სიტყვისა (მაგალ. ურ **პოლი** = ქართ. **მილ** - ი, რომელიც შეიძლება ნასესხებიც იყოს ქართულის მიერ; ურარტული - საგან, ან წინა - უკმო; ურ. **ულდი** = ქართ. **ყურძ** - ენ - ი, ჰან. **ურძ** - ენ - ი, რომელიც აგრეთვე შეიძლება ურარტულის მიერ იყოს ნასესხები ქართულისაგან). სხვა რაიმე მნიშვნელოვანი მსგავსება ქართულსა და ურარტულს შორის არ აღმოჩნდა (არის ნიშნები, რომელიც ურარტულს რაღაც შორეულ კავშირზედ მიგვითითებს ინდო - ევროპეულთან).

ამით გადაწყდა საკითხი ხეთურ - ლურსმურ

\*) ლემან - ჰაუპტმა კერძო წერილით საჩივარიც მიაართვა სეისს ჩვენ წინააღმდეგ, მან კი ზრდილობით, მაგრამ სუსტად უპასუხა ამ უცნაურ წერილზედ.

წარწერებში აღმოჩენილი ეგრ. წ. ჰეროტელი ენის ნათესავობისა ქართულთან: ჰეროტელი ურარტულის მონათესავე ენად სჩანს და მასაც ისე არა აქვს ნათესავობა ქართულთან, როგორც ურარტულს. ხოლო რაც შეეხება იმავე ხეთურ ლურსმნურში აღმოჩენილ უცნაურ ეგრ. წ. პროტო-პატტურ ენას, ირცელი ტექსტები ამ ენაზედ დაწერილი ჩვენ არ შეგვხვედრია, არც ვიცით, აღმოაჩინეს თუ არა იმ დროის განმავლობაში, როდესაც ჩვენ ხელი აღაჩაფერეს მიგვიწვდება. ყოველ შემთხვევაში იმ ნიშნებით, რომელსაც ენა იჩენს მცირე პროტო-პატტურ ტექსტებში, შეიძლება რაიმე კავშირი წარმოვიდგინოთ მისი ქართულთან, ან რომელიმე „კავკასიურ“ ენასთან. ამ საკითხის გადაწყვეტა მომავლის საქმეა.

ამგვარად გვჩიება ჯერ მხოლოდ ერთად - ერთი ქართული, რომელთანაც სუმერულს აქვს ნათესავობა, და ერთად - ერთი სუმერული, რომელთანაც ქართულს აქვს ნათესავობა. რომ რიცხვის სახელნი ქართულისა და სუმერულისა ერთი - ერთს ემსავსებოდენ ისე, როგორც სემურ ან ინდო-ევროპიულ ენებში, მაშინ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ქართული და სუმერული ახლო ნათესავნი არიან ერთი - ერთისა. მაგრამ ეს არ არის და ამიტომ შეგვიძლია დაახლოვებით ასე აღვნიშნოთ სუმერულისა და ქართულის ნათესავობის ხარისხი: ქართული არ ეკუთვნოდა იმ ენათა ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნოდა სუმერული, და არც სუმერული ეკუთვნოდა იმ ჯგუფს ენათა, რომელსაც ქართული ეკუთვნოდა, არამედ ამ ჯგუფთა შორის არსებობდა ნათესავობა, რასაც ცხად - ჰყოფენ შედარებანი ცოცხლად ვადარჩენილი ქართულისა (და ჭანურ-მეგრულ-სვანურისა) და ქრ. წ. მეორე ათასწულში გამქრალი სუმერულისა.

ქართული ჯგუფის ენებზედ და „სუმერულ“ ჯგუფის ენებზედ (ეს სახელი ვუწოდოთ მას ჯერ სხვა უკეთესი ტერმინის უქონლობის გამო) მეტყველი ტომები ცხოვრობდენ ალბათ კავკასიის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ადგილებში, შეიძლება თვით კავკასიაშიც, უფრო დღევანდელ სამხრეთ და დასავლეთ-სამხრეთ საქართველოს მხარეებში, და რომელიმე ამ ადგილთაგანითგან არის ალბათ სუმერთა შტო წამოსრული სამხრეთისაკენ და დასახლებული სამხრეთ ბაბილონეთში. არის ნიშნები არქეოლოგიური, რასიული, და სუმერთა ხელოვნებისაგან, და თვით მათ მიერ შექმნილი ლურსმნური ნიშნების პირ-

ველ - ყოფილი მოხაზულობისაგან მოცემული, რომ სუმერნი ჩრდილოეთითგან უნდა ყოფილიყვნენ სუმერეთში მოსრულნი. მათ თან ჰქონდათ მოტანილი ელემენტები იმ კულტურისა, რომელიც მათ განავითარეს მათ ახალ სამკვიდრებელში, სამხრეთ ბაბილონეთში. აქ ამაზედ სიტყვას ვერ განავარდობთ, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ სუმერთა ტიპი, რაოდენადაც ჯერ შესაძლებელია მისი ანთროპოლოგიური თვისების ცნობა და რაგვარადაც იგი მოსჩანს სუმერთა ქანდაკებებში, მათ გამომეტყველებაში, საქართველოში დღესაც მოიპოვება: მრგვალ-თავიანი, დიდ თვალ - წარბიანი, დიდ და ოდენ მოკაუჭებულ, მაგრამ არა სქელ ცხვირიანი, თხელ-ბაგვანი, შეიძლება შავ ან წაბლის ფერ თმიანი, უფრო ნაზი ვიდრე-მკაცრი გამომეტყველების ტიპი (მაშასადამე სრულიად განსხვავებული აღმოსავლურ-სემური და წინა-აზიური ტიპისაგან) აღვნიშნათ, რომელიც ჩრდილოეთისა და დინარის ტიპისაგანაც განსხვავდება, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე აღმოსავლურ-სემურისაგან და წინააზიურისაგან. ყოველი ერთი მრავალ რასიულ ელემენტთაგან შესდგება, რასიულად ყოველი ერთ ნარევი, და საქართველოშიც ყოველი რასის ტიპს ვხვდებით (უმეტესად დინარულს), და სუმერთა მსგავსი ტიპიც მოიპოვება ქართველთა შორის. არქეოლოგიაც ამტკიცებს, რომ კვალი სუმერთა კულტურისა ძლიერ შორს მდინის სამხრეთითგან ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ ეს შეიძლება უფრო სუმერთა უცვლელ სამხრეთ ბაბილონეთში განვითარებული კულტურის გავლენით აიხსნებოდეს, რომელიც სუმერთ ჰქონდათ მათგან ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებზედ მათი პოლიტიკური სიძლიერისა და ექსპანსიის დროს ჩრდილოეთისაკენაც.

ყოველმა ერმა მით უნდა იამაყოს, რაც მას მისი ისტორიის განმავლობაში შეუქმნია, და ჩვენც, ქართველებს, თუ რამე საამაყო გვაქვს, ეს უმთავრესად ჩვენ მიერ ქრისტიანობის მიღების შემდეგ შექმნილი კულტურული სიმდიდრეა. მაგრამ ნათესავობაც იმ ერთან, რომელმაც სრულად დამოუკიდებლად შექმნა უპირველესი, ეგვიპტელებზედაც უძველესი საკვირველი კულტურა, ძვირფასი უნდა იყოს ჩვენთვის, მაჩვენებელი იმისა, რომ ჩვენი მოდგმა შემოქმედებითი ნიჭის მქონე ადამიანთა მოდგმაა. უნიჭო მოდგმის ადამიანები დიდ კულტურულ ღირებულებათ ვერ ჰქმნიან; და ქართველთა კულტურული შემოქმედება მათი ისტორიის განმავ-

ლობაში რასაკვირველია იმითაც აინსნება, რომ სისხლი მათი ენათესავება შემოქმედებითი ნიჭის მქონე უძველეს ხალხთა სისხლს. — როდესაც სუმერი შვედრებით აღადგინა არქეოლოგიამ და ენათ-მეცნიერებამ, აღმოჩნდა, რომ მას დიდი მემკვიდრეობა დაუტოვებია კაცობრიობისათვის. სუმერთა მიერ მოგონილი გენიალური ლურსმნური წერილი გადაღებული იყო ბაბილონელთაგან, ასსურთაგან და მრავალ ერთაგან წინა-აზიისა. მას ხმარობდნენ ივინი ფინიკიური ანბანის გავრცელების შემდეგაც, როგორც დღეს ლათინური ან - ბანი იხმარება მრავალი ერის მიერ. დიპლომატიური მიწერა - მოწერა ეგვიპტის ფარაოთა წინა - აზიის მეფეებთან ბაბილონურად ხდებოდა, სუმერთა მოგონილი ლურსმნურითა — სარწმუნოება სუმერთა, გაცილებით უფრო დიდი აღამოანობის მარვენებელი, ვიდრე წმიდა სემური, ან მცირე - აზიელ ხალხთა, ბაბილონელთაგან იყო შეთვისებული, და მისი გავლენა წინა - აზიის სხვა ხალხთა სარწმუნოებათაც ღრმად განიცადეს. შესანიშნავი ეპოსები ქვეყნის შექმნისა და განსაკუთრებით „გილგამეში-სა“, რომელიც ბაბილონურად არის დაცული („გილგამეშიანი“ სხვა უძველეს ენებზედაც იყო თარგმნილი, მაგ. ინდ. - გერ. ხეთურად), სუმერული წარმოშობისაა, — აღმოჩენილია მათი ნაწილები სუმერული ორიგინალისა. ებრაელებმა „გილგამეშიანი“ ამოიღეს მათი ამბავი „წარღენისა“ და შექმნის ეპოსითგან მათი ამბავი „შესაქმისა“, რაცა დღესაც ნაწილია ჩვენი, ქრისტიანული „საღმრთო - წერილისა“. — სუმერული კანონები, ბევრი თითქმის შეუცვლელად, შეტანილ იქმნა ბაბილონურ კანონთა კრებულში, მას ვხედავთ ჰამმურაბის (მეორე ათასეულის ბოლოში ქრ. წ.) კანონთა კრებულში და შემდეგ ებრაელთა მოსეს კანონმდებლობაშიც. — ხუროთ = მოძღვრებაში სუმერთაგან დატოვებული მემკვიდრეობა თალი და გუმბათი, და სხვ. და სხვ. ამგვარად სუმერთა ერის კულტურის ელემენტები დღესაც მოიპოვება ვითარცა საკუთრება კულტურული კაცობრიობისა, და ჩვენიც, ქართველთა, ხოლო ჩვენ ამას გარდა დიდი ღირსებად უნდა მიგვაჩნდეს ნათესავურ კავშირი ამ უძველეს კეთილშობილ, და მისი დროისათვის და სემიტებთან შედარებით, ჰუმანური სულის მქონე ერთან.

ეს არის უმთავრესად, რაც შეგვიძლია ვთქვათ „ქართულის ნათესავობაზედ“. ვერას ვიტყვით ჩრდილო კავკასიის არა ინდო - გერმანულ და

არა - თურანულ ენებზედ და მათ ნათესავობაზედ ენათა სხვა ჯგუფებთან და მათ კავშირზედ ქართულთან. ჩვენ „კავკასიური“ ენები არ ვიცით. ძნელია ავტობიონ ჩრდილო კავკასიელთა ენები და მათ კარგად შესწავლას კიდევ უფრო ის აძნელებს, რომ ამ ერებს დროთა განმავლობაში მწერლობა არ ჰქონიათ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო შესწავლა მათ ენათაგან განვლილი ცვლილებისა. ჩრდილო კავკასიურ ენათა შესწავლას ადგილობრივ უნდა ყოფნა, არ კმარა ამისათვის ჩრდილო კავკასიის ერთა მეცნიერებებში დაწყებული მწერლობა და უცხოელთა მიერ შედგენილი გრამმატიკები და ლექსიკონები (ჩერქეზული, ავარული და სხვა მრავალი). „კავკასიურის“ შესწავლა ჩვენ ძალას აღემატებოდა და ამას გარდა ჩვენ მიერ ცდაც კი რასამე შეუძლებელი იყო ჩვენი მუდამ უცხოეთში ყოფნის გამო. — ვერც განსვენებული ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა ჩრდილო კავკასიურ ენათა და მათი კავშირისა ქართულთან ვიდრე უნდა, რომ წარმოდგენა გვქონებოდა მაინც ამ მნიშვნელოვანი მეცნიერული საკითხის ახალ მდგომარეობაზედ.

მაგრამ რაგვარადაც არ უნდა გადაწყდეს საკითხი „კავკასიურისა“ და ქართულის კავშირისა, საჭიროა განგრძობა მათი ნათესავობის ძიებისა უძველეს ენებთან, რაოგანაც არც „კავკასიური“ და არც ქართული განმარტობებულად არა დგანან, არამედ მათი ძირი უშორეულეს წარსულშია საძებარი. ჩვენ ჩვენი მცირე ძალებით ვსცადეთ ქართულის ნათესავობა გვენახა. ამისთვის ასსიროლოგია იყო აუცილებელი საკოდნელად. ამით ჩვენ ჩვენი აზრით მიზანს ოდენ მაინც მივახსენეთ. ხანგრძლივად არ შეგვიწყობთა კვლევა - ძიება უკეთეს საბუთთა აღმოსაჩენად და ძველ შეცდომათა გასწორება. ხოლო ჩვენი ახალი შრომა „სუმერულისა და ქართულისათვის“, გერმანულად დაწერილი და დაუშთავრებული, სხვა შრომებთან ერთად დაიკარგა ჩვენი გერმანიაში ყოფნისას ომისა და მის ბოლოს მოვლინებული კატასტროფის დროს.

ამიტომ, რათგან ჩვენ არც ხნოვანება და არც პირობები საშუალებას აღარ მოგვცემენ განვაგრძოთ ჩვენი ეს შრომა, ვუტოვებთ ანდერძად იმ ახალ - გაზრდა ენათ - მეცნიერთ, რომელთაც ქართულისა და „კავკასიურის“ ძირთა საკითხი აინტერესებს, შეისწავლონ კარგად ასსიროლოგია, მეცნიერება ლურსმნურისა, ექმნებათ რა წინასწარი მომზადება განსაკუთრებით ინდო - გერმა-

# ს ა უ ბ ა რ ი კ ა რ დ უ ს ტ ა ნ ე

## 2. ქართული შაირი

დრო არის, შენი ენის კიდევ ერთს საიდუმლოს შევეცხო, რომელიც საიდუმლოა თანვე ქართული შაირისა. ქართულმა ბგერამ არ იცის „იკტუსი“: მკვეთრი მახვილი. გერმანულის თურუსულის გვარად რომ დავბგეროთ მაგალითად სიტყვა „მდიდარი“, პირველ „ინთან“ მივიღებთ სოლისებურ მახვილს, რომელიც ჰკვეთს სიტყვას. ეს არ იქნება ქართული გამოთქმა. ქართული ბგერა არც ანტიუჩრი „გრძელი მარცვალია“: ჩვენ არ ვამბობთ — მაგალითისათვის ავიღე სიტყვა — „მდიდარი“. მაშ რა სახისაა ქართული ბგერა? სანამ ეს ბგერა არ იქნება გაჩვეული, ქართული შაირის წყობას თუ ზომას ჩვენ ვერ დავადგენთ. 25 წლის განმავლობაში ვცდილობდი ამას გამოცნობას — ამაოდ. ერთხელ **Christian Lahusen** — მკვლევარი საგალობელ ჰანგეხთა და თვითონ უნაზესი მუსიკოსი — მესაუბრებოდა საკრალურ ენათა შესახებ. მან სთქვა: ამ ენებმა არც იცოდენ „იკტუსიო“, მათი გახმიანება „შალალი“ და „დაბალი“ ტონით იმართებოდაო. გავშტერდი: უეცრად ქართულმა ენამ მიელვა. მე მივუგე: ასეთი ენა დღესაც ცოცხალია-მეთქი, სახელდობ ქართული. მის მიგნებას მტკიცება მიეცა სინამდვილედან — ჩემი ძებნა მისი მიგნებით „ნახვით“ დამთავრდა.

მართლაც. ავიღოთ იგივე სიტყვა „მდიდარი“. აქ სწორედ ის „შალალი“ ტონია „მა“, რომელსაც მოსდევს „დაბალი“ „და“ და მას: კიდევ უფრო „დაბალი“ „ლი“. ესაა საიდუმლო ქართული ბგერისა და აქაა საიდუმლოც ქართუ-

ლი შაირისა. ამის თვალ-ნათლევ ანარეკლს „ვეფხვის ტყაოსანი“ გვამცნევს: აქ ერთი ტაევი აგებულა „შალალად“, მეორე „დაბალად“. „შალალად“: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, სჯდა მტირალი წყლისა პირსა“. „დაბალად“: იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი“. პოემა ამ ორმაგ რეგზეა გამართული.

ქართული სმენა თანდათან ჰკარგავს „შალალ“ — „დაბალ“ ტონალობას თანზობილს. საბედნიეროდ მე კიდევ მივგეგმი აიგი. დავასახელებ აქ იმ პირთ, რომელთა ქართულით დავტკბარვარ. ესენი იყვნენ: ვახტანგ და ტელემაკ გურიელი, დავით შიქელაძე, სამწერლო სახელით „მეველი“, იონა მეუნარგია, ივანე ჯავახიშვილი (შენი დიდი მეისტორიე, კარდე), სვიმონ აბაშიძე: გაცივანი სვირში სანდრო აბაშიძესთან, კაცხიდან ჩამოსული: 1915 წელს, ზაფხულში, სტუმრად (ნათელმფენი ივერიული პროფილითაც შენი ნამდვილი ნამიერი იყო, კარდე, ეს დაუვიწყარი მოხუცი). სვირი დედულაა ჩემი, საცა — სწორედ მის მიჯნაზე ობჩასთან, ამ სოფლად ავიხილე თვალი. „სვირი“ ძველს ქართულში „მცველს“ ნიშნავს — ევებ მკითხველი თვით მიხვდეს, თუ რად ვახსენებ აქ ამას. ცოცხლებში: შალვა დადიანი და იროდიონ სონლულაშვილი. ქალთა შორის: გერონტი ქიქოძის ცოლი ტასო, და ვანსვენებულნი: შალვა ამირჯებისა, აგრეთვე განსვენებული სპირიდიონ კედიას შეუღლე სონა ჩიჯავაძის ასული, რომლის ბაგეტკბილი ქართულით პარიზში მყოფნი ქართველნიც ტკბებიან.

კოტე დოდაშვილს, შვილიშვილს სოლომონ დოდაშვილისა, დაკვირვებულ მწიგნობარს, ეგონა: ქართული შაირის წყობა თუ ზომა ტონურსილაბურიოა. ასე ეგონა სერგო გორგაძესაც, რომელმაც ქართულ შაირს მთელი წიგნიც უძღვნა — იყო მშვიდი, კეთილი, „ამოფურცლული“ პირდაპირ „ქართლის ცხოვრებიდან“, ნათელგონიერი და ღრმად ჩახედული საქართველოს ისტორიაში. ასე მეგონა მეც. ასე ჰგონათ დღეს სხვებსაც. მაშ რა უნდა ვიგონოთ? ჩვენ შეგვიძლია ქართული შაირს ვუწოდოთ „ტონურ-სილაბური“, თუ ვიგულებთ, რომ იგი „იკტუსითაა“ დაბგერილი. ხოლო ეს ასე არაა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ „შალალი“ ტაევი არუსთაველისა უნდა წარმოვეთქვა ისე როგორც „დაბალი“ და პირუკმო. აბა სცადეთ წარმოსთქვათ „ნახეს

ნული ენათ - მეცნიერებისა და სემიტილოგიის დარგებში. ქართველები (და ალბათ ჩრდილო კავკასიელებიც) უძველეს დროს წინა-აზიის იმ ერთა მეზობლად სცხოვრობდენ, რომელნიც ლურსმნური ნიშნებით სწერდენ თავის ენებზედ, და საფიქრებელია, რომ ქართველნიც ამ ნიშნებით სწერდენ, სანამ საკუთარ ანბანს შეჰქმნიდენ (საუკუნეთა წინად ქრისტემდე და არა მესხეთე საუკ. ქ.წ. შემდეგ), და ვინ იცის, იქნებ სადმე და ოდესმე აღმოაჩინოს არქეოლოგიურმა გათხრამ ტაბულები უძველეს ქართულად, ჰანურ-შეგრულად, ან სვანურად (ან რომელიმე „კავკასიურ“ ენაზედ) ლურსმნური ნიშნებით დაწერილი.

**მიხეილ წერეთელი.**

მიუნხენი, 17 აპრილი 1948 წ.

უტხო მოყმე ვინმე, სჯდა მტირალი წყლისა პირსა“ ისე როგორც „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი“, ან და უკანასკნელი ისე როგორც პირველი — წამსავე იგრძნობთ რიტმის დარღვევას.

ყველაზე უფრო ნათლად სჩანს ეს აბრუნდი აკაკის ცნობილ ხალხურ შაირში—საკვირველია, როგორც უფრო შეამჩნია მან ეს, აი ეს ადგილი:

„სიმინდსა თოხნა დავუწყათ,  
ერთად დავძახოთ მუშუაი —  
ეგებ მაშინ დავგავწყედეს,  
რომ გლენნი ვართ უბედურა“.

მკითხველს ვერ გამოეპარება, რომ აქ პირველი ნახევარი ტაეპისა გამართულია „დაბლად“, მეორე კი „მაღლად“. ეპარება რიტმიული შეხმინება. თუ არ ვცდები ასეთი აბრუნდი ვაჟას ერთს მშვენიერ შაირშიაც გვხვდება, იქ, სადა მთვარეზეა ნათქვამი: „არ დაუძინავს მკლავზედა“. შაირი ზეპირად აღარ მახსოვს და ვამბობ: თუ არ ვცდები. შესაძლოა ქართულს ერთსა და იმავე შაირში „მაღალ“ მუხლიც იყოს და „დაბალიც“—და სწორედ ესაა, რაიც მის ზომას ამრავალნაირებს — მაგრამ მაშინ „მაღალი“ და „დაბალი“ ერთიმეორესთან შეჭიტიმულნი უნდა გამოდიოდნენ. მაგალითად: „ქალოშენი/საროტანი/კენარი“. აქ პირველი ორი მუხლი „მაღალია“, ხოლო მესამე „დაბალი“. ხოლო ეს რიტმიული ხაზი მთელს შაირში უნდა იყოს ჰარმონიულად დაცული. არ აქვს ეს დაცული ილიას მის ცნობილ შაირში „ტყემ მოისხა ფოთოლი“, თუმცა აქ შაირი სხვა ზომისაა ვიდრე ზემოთ მაგალითად მოყვანილი. ეს სხვაობა არ შევლის მას მაინც: იქ არაა „მაღლის“ და „დაბლის“ სასურველი შენაცვლება. სხვათა შორის, ასეთი ზომის ქართული შაირი „ქალოშენი/საროტანი/კენარი“, რასაც „თეჯლისს უხმობენ, ჩემი სმენისათვის ყველაზე უფრო ტკბილხმოვანია.

სამწუხაროდ დრო არა მაქვს, გამოწვლილვით განვიხილო ქართული შაირი. აქ მხოლოდ რამოდენიმე შენიშვნა ვაკვრიოთ. 1. ქართულ შაირში მარცვალთა რაოდენობის დაცვა აუცილებელია, მაგრამ არც ისე კატეგორიულად. ბოლო სტრიქონს რუსთაველის ყოველი ტაეპისა წინ ერთვას „და“: მეტი მარცვალი. ეს არა თუ არღვევს რიტმს, პირიქით იგი მორგავს მას. საჭიროა მხოლოდ: ამ მარცვალზე ოდნავ შეჩერდეს წარმომოქმედი. ასეთი შეჩერება, პირდაპირ შეუღარებელი, მსმენია კოწია გამყრელიძისაგან ფოთ-

ში, როცა იგი მომავონებდა ხოლმე, რუსთაველის რომელიმე ტაეპს, თანვე თვალების ცინცხალა აციალებით. ერთს ჩემს შაირში ასეთი სტრიქონია: „ბორგავს ბორკილებით გაკრული ურავანი“. წარმოითქმის: „ბორგავსბორ/კილებით/გაკრული/ურავანი“. ბოლო მუხლში ერთი მარცვალი მეტია. პირველად მქონდა ასე: „ბორგავს ბორკილებით გაკრული გრივალი“. სილლაბურ ესაა სწორი, ხოლო არა რიტმიული: მეტი მარცვალი ბოლო მუხლში იქ მეტს „მრეობას“ აძლევს გამოთქმულს. მხოლოდ ეს მარცვალი, სახელდობ პირველი „უ“, სწორედ იმ „შეჩერებით“ უნდა წარმოითქვას, რომელსაც თხოულობს რუსთაველის „და“. მე ხშირად მიხმარია ეს „მეტი“. თანვე ერთი ღვეტალი. ბორგავსბორ/კილებით/გაკრული/ურავანი“ — პირველ მუხლში სიტყვას „ბორგავს“ ბორ“ ემატება თანამომდევნო სიტყვიდან. ამ „ბორსაც“ იმგვარავე „შეჩერება“ ესაჭიროება, თორემ უამისოდ მუხლი „შეჩანითრი“ გამოვა. აი ასე: „ბორგავს“—შეჩერება ოდნავ—„ბორ“—შეჩერება ცოტა უფრო მეტი. ეს ღვეტალი გვამცნევს, რომ ქართული შაირი მართლაც საგალობლოდანაა წარმომოხილი. 2. თავი და თავი ქართულ შაირში „დამუხლვა“ და არა „დატერფვა“. ილიას განდევნილი იწყება: „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა“. ტონურსილაბურ „დატერფვით“ ეს ადგილი ასე წარმოითქმის და ასეც წარმოითქვამენ: „სადაცდიდებულს/მთასამყინვარსა“. ეს „მაღალი“ კილია, რაც აქ სრულიად დაუშვებელია. უნდა წარმოითქვას „დაბალით“: „სადაც/დიდებულს/მთასა/მყინვარსა“. ისმენთ, არა, ზედავთ: თუ როგორ იფინება ამრიგი წარმოთქმით ებიური კამარს, იშლიება თვითონ სივრცეში. „მაღალი“ მუხლი მაღია, ჩქარი, „დაბალი“ კი ნელი, დაყოვნებული. საერთოდ: „დამუხლვა“ ქართულ შაირში წინ უსწრობს მის „დატერფვას“: იგი განაგებს უკანასკნელის ნაირობას. „მერანს“ ნ. ბარათაშვილისა ჩვენში ასე კითხულობენ: „მირბისმამაფრენს/უგზოუკვლოდ/ჩემიმერანი“. აქ გარდა იმისა, რომ იმგვარვე შეღახვას ვისმენთ რიტმისა, როგორც სხენებულ წარმოთქმაში ილიას „განდევლისა“ „სადაცდიდებულს/მთასამყინვარსა“, აქ სხვაგვარ შეღახვასაც აქვს ადგილი. „უგზოუკვლოდ“ ყოველად დაუშვებელია ერთად იქმნას წარმოთქმული. მაშ განწევრებით? უთუოდ. ხოლო თანვე ისე: თითქოს ერთიცა და მეორეც „სპონდურ“ იყოს ბგერული („სპონდის“ ცტყ-





ვიან ორმარცვლოვან „ტერფს“, საცა ორივე მარცვალა დაბგერილი). „შერანი“ ამრიგ უნდა გაიშალოს: მიზრბის/მიმაფრენს/უგ - ზო = ჯკ - ვლოდ/ჩემი/მერანი“. მხოლოდ მაშინ დათვრებით მისი ნამდვილი რიტმით. 3. ქართული შაირი გაურბის სიტყვის გატეხვას „დატერფვისას“: მას უყვარს მთელმთელი სიტყვა. ხოლო არ ეშინია, სიტყვა განაწევროს, თუ ამას მოითხოვს მუსიკალური დენა, რაიც მისთვის ძალიან ადვილია, რადგან იგი, განვიმეოროთ კიდევ, საგალობელია. აი ერთი მაგალითი მრავალთაგან: „შინდი - შინდი/ფერად - შინდი/გადა = ფრინდი/გადმო - ფრინდი“. „შინდი - შინდი/ფერად = შინდი“ გალობით, სიმღერით მოდის და მას გალობითვე, სიმღერითვე მიჰყვება: „გადა - ფრინდი, გადმო - ფრინდი, ეს ისე ხდება, რომ სიტყვის გატეხვას ვეღარც კი გრძნობთ და ასე ყველგან. 4. ქართული შაირის წყობა თუ ზომა ქართული ენის ბუნებრივად არის წარმოშობილი, რომლის ნიშნული თვისება საგალობელის „შაღალი“ და „დაბალი“ კილოა. ეს უნდა ჰქონდეს სახეში ყოველ მკვლევარს. მისი წყობა თუ ზომა შეგვიძლია „მივეუახლოვოთ“ სხვა ხალხთა წყობებს თუ ზომებს შაირისა, ხოლო არას გზით „გავაიგივოთ“ მათთან. (სერგო გორგაძე ხსენებულ კვლევაში სწორედ „გავაიგივებისაკენ“ იხრება, რაიც შეცდომაა). „სპონდიის მაგალითი უკვე ვახსენე: იგი ძალიან უხდება ქართულ შაირს, ხაზს ვავლებ: „უხდება“.

აგრეთვე ჰევზამეტრი. ჩვენში ვაუზრცელდებულნი აზრი, ეს ანტიური ზომა ქართულში შეუძლებელიაო, სრულიად უსაბუთოა: სწორედ ჰევზამეტრში „უახლოვდება“ ქართული შაირი ანტიურს. მაგალითისათვის იგივე „დაბალი“ ტაეპი რუსთაველსა: იგი ნამდვილი ჰევზამეტრია,

რასაკვირველია, „ქართული“, ხოლო ერთი განსაზღვრით: სტრიქონის ბოლო უთუოდ ორმარცვლოვანი სიტყვა უნდა იყოს. აბა დაუგდეთ ყური, თუ როგორი ჰევზამეტრით იწლებიან ეს სტრიქონები:

„იყო არაბეთს როსტევან მეფე ღვთისაგან სევან, მალალი, უხვი, მდაბალი, ლაშქართ მრავალი ყმიან“.

ეს რომ პეტრე მირიანაშვილს სცოდნოდა, მაშინ იგი ჰომერის „ილიონს“ არ სთარგმნიდა ამ ზომით, ვთქვათ: „ილიონჰომერს/დაუწერია“. მომავალმა მთარგმნელმა ეს შეცდომა უნდა გამოსწოროს და სწორედ: ზემოაღნიშნული გზით.

ბოლოს ერთი შენიშნვა. ქართული სიტყვაზრიდან უნდა ამოგდებულ იქნას სახელდება „რი-თმა“. უკანასკნელი არ ჰქონია ანტიურ შაირს: იქ იყო მხოლოდ „რიტი“. ალბათ ეს სიტყვაც რუსულიდანაა შემომტარალი ჩვენში. რუსებს არ აქვთ სიტყვისი გერმანულისა „Reim“ ან ფრანგულისა „Rime“. „Reim“ ან „Rime“ „რიტმისაგან“ რომ ესხვაეებით, მათ იხმარეს „რი-თმა“, რაიც მორფოლოგიურ იგივე „რიტმია“. ჩვენ უთუოდ უნდა გვქონოდეს ძველად საამისო სიტყვისი. მე იგი ვერ მომიხსნავს. ხოლო ვიცი, ჩვენში სიტყვების ერთმანეთთან შეხმიანებას შაირში „მაშმას“ უხმობენ. მოკლედ, შეგვეციოთ ეს იქნება „ზმა“. „გარითმულის“ მაგიერ შეგვიძლია ვთქვათ: „გაზმული“.

ღირ ხანს მომიხნა, კარდუ, შეგჩერებულვიყავ ქართული შაირის ირგვლივ. ეს იმისთვის, რომ ცხად მეყო, რომ შენი ენა საკრალურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის და—შენი ენა საგალობელია.

გრიგოლ რობაქიძე.

**კატარგუზრის ქართველთა ახალი ცდები და 1804 წლის ამბები**

(ერთი გამოუქვეყნებელი დოკუმენტის გამო)

მეცხამეტე საუკუნის მიჯნაზე უაღრესად ვართულებული პოლიტიკური ვითარება საქართველოსი უფრო ტრადიციულად გააღრმავა მეფე გიორგის მისწრაფებულმა სიკვდილმა... შინაურმა და გარეშე წინააღმდეგობებმა ეხლა უშიშრად და დაუირიდებლად წამოჰყვეს თავი და სახელმწიფო სხეულს საქართველოისას სასიკვდილო მახვილი ჩასცეს.

გიორგის ტახტზედ ასვლისას საქართველო ყოველ მხრივ დასუსტებული და თვითონ შეფიცა

არ იყოს, განუკურნებელ ჭირვეულობით შეპყრობილი იყო, მაგრამ იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც მას ამ -ჟამად ჩრდილოეთიდან აწებობდა, მას ხელთ ეპყრა საკმაოდ მტკიცე ფარი. მოქნეულ ხმლის აცდენა კიდევ შეიძლებოდა; ეს „ფარი“ 1783 წ. ტრაქტატი იყო და გიორგი მეფემ შესძლო იმპერატორ პავლესაგან ამ ტრაქტატის ხელახალი დადასტურება (იელო\*).

\*) იხ. ა. ცაგარელის, „Грамоты“ II, გვ. 155.

ალექსანდრე I, სამართლიანობის და სათნოების სიმბოლოდ იყო აღიარებული და თვის ტახტზე ასვლის წინ მოწოდებული უნდა ყოფილიყო ყველაზე უფრო დიდი უსამართლობანი, რაც პავლეს ჩაედინა, ძირიანად აღმოეკვითა...

უდავოა, რომ ასეთ უსამართლობად უნდა მიჩნიათ საქართველოს უძველეს სახელმწიფოს და დინასტიის გაუქმება და ერეკლე - ეკატერინა II-ის ტრაქტატის გაქარწყლება; ტრაქტატის, რომელიც ორ მოპირდაპირეთა შეთანხმების შედეგი იყო და მხოლოდ ორთავეს თანხმობით უნდა შეცვლილ ან გაუქმებულიყო\*).

მართალია გიორგიმ ეს „ჯებირი“ დაასუსტა: „თხოვნითი პუნქტებმა“ შესცვალა 1783 წ. ტრაქტატი, მაგრამ ეს „თხოვნითი პუნქტებიც“ **ორ მხარეს** შეთანხმება უნდა ყოფილიყო და შეფობა ბაგრატიონთა გვარიდან მემკვიდრეობით უნდა საუკუნოდ შენახულიყო...

ამ უფლებათა დასაწინააღმდეგებლად ახალი შესაძლებლობა იხსნებოდა და პეტერბურგის ქართველებმა თვისი პოლიტიკური და დიპლომატიური მოწამება ახალის იმედებით გააცხოველეს.

საქართველოს სამეფოს არსებობის უკანასკნელი წლების მასალების შესწავლის დროს ყოველი მკვლევარი განსაკუთრებული ყურადღებით მოეციდება იმ როლს, რომელსაც საქართველოს წარჩინებულთა წრე პეტერბურგში თამაშობდა. დერძი ქართულ პოლიტიკისა ესლა ტფილისში ისე მძრაფრად არ ბრუნვდა, როგორც პეტერბურგში; იქ წყდებოდა ქვეყნის და სამეფოს ბედი და ბატონიშვილებმა თვისი კავშირები და გავლენა აამუშავეს. აქ მათ პეტრე ბაგრატიონთან ერთად გვერდით ჰყავდათ საგარეო სამინისტროს დიდი მოხელე, აღმოსავლეთის განყოფილების მმართველი სერგო ლაშქარაშვილი (ლაშქარევი), რომელიც ეკატერინა II-ს დროს დიდეს გავლენითა და პატივით სარგებლობდა და ეს გავლენა მან პავლე პირველის დროსაც შეინარჩუნა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ს. ლაშქარაშვილის

\*) იხ. ივ. ჯავახიშვილის „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის“. თბილისი, 1919 წ. გვ. 31 და 60. ავტორს აქ მოჰყავს 1783 წ. ტრაქტატის მე-12 მუხლი, სადაც სხვ. შორის ნათქვამია: „რომ ხელშეკრულება საუკუნოთაა დადებული და რაიმე ცვლილებას მოხდენა შესაძლოა მხოლოდ „по обосторонному соглашению“...

საშუალებით ეს წრე დაკავშირებული იყო საგ. სამინისტროსთან და თვით სახელმწ. საბჭოს გავლენიან პოლიტიკოსებთან. განსაკუთრებით ქართული საელჩო და მისი თანამშრომელი იყვნენ მუდმივ კონტაქტში ლაშქარაშვილთან და მისი მეშვეობით უმაღლეს წრესთან. აქედან გასაგები ხდება ის რყევა რომელიც განიცადა რუსეთის მთავრობამ საქართველოს საკითხში, განსაკუთრებით ალექსანდრე პირველის ტახტზე ასვლის შემდგომ..

როგორც ვიცით, 1801 წ. 16 და 17 თებერვალს გამოცხადდა პავლეს მანიფესტი საქართველოს შეერთების შესახებ, როცა გიორგი მეფის ცხედარზე ჯერ კიდევ მცხეთისთვის არ მიებარებინათ. პირველი წყება ბატონიშვილთა კნორჩინგმა დაუყონებლივ პეტერბურგისაკენ წაასხა (იოანე, ბაგრატი და მიხეილი) და მათ ზოგი წარჩინებულებიც თან გააყოლა \*).

აი, აქედან იწყება რუსეთში, ბატონიშვილთა აქტიური მუშაობა ქართლის ბედის შესაბრუნებლად.

კნორჩინგის მოხსენებიდან პეტერბურგისადმი (17 დეკ. 1801 წ.) ვცუობილობთ, რომ იოანე ბატონიშვილს პეტერბურგიდან მემკვიდ. დავითის საგანგებოთ გამოუგზავნია პირი ცნობილ მანიფესტისა, რომელიც ალექსანდრე I-მა 12 სექტემბერს გამოაქვეყნა რუსეთში; იოანე ურჩევდა დავითს პოლიტიკურ ხასიათის მიმართვის შედეგნას ხელმწიფისათვის, რომელშიაც ნათქვამი უნდა ყოფილიყო, რომ სამეფოს დინასტიურ უფლებებზე არასდროს არ აუღია ხელი და, რომ ისინი მოითხოვენ მემკვიდრე დავითის მეფეთ გამოცხადებას. ამ მიმართვაზედ უნდა ყველა ბატონიშვილთ და საქართველოს მოწინავეთა წარმომადგენლებს ხელი მოეწერათ\*\*).

თითქმის ერთი წლის შემდეგ, როცა საქართველოში აჯანყება დაიწყო, იგივე კნორჩინგი (აგვისტოს 25) ხელმწიფეს მოახსენებს, რომ იმავე იოანე ბატონიშვილს მსგავსი ინსტრუქციები დაუგზავნია საქართველოში და მოუთხოვნია — შეეკრიბათ მოწინავენი და ჩამოერთმიათ ხელწერილი: რომ ისინი მოითხოვენ აღადგენას საქართველოს უფლებიას და რომელიმე ბატონიშვილის ტახტზედ აყვანას. ის ურჩევდა ქართველთ — მეტი დრო აღარ დაეკარ-

\*) იხ. ბუტკოვი, ტ. 3, გვ. 336.

\*\*\*) იხ. იქვე, გვ. 346.

გათ, „თორემ მომავალში უფრო მეტი სიმწარე მოგველის“-ო\*).

იოანე ბატონიშვილის პოლიტიკურ მუშაობას გვეუბრები უდგენ თვითონ ელჩი საქართველოსი ვარსკვლავს ჰავჭავაძე და საელჩოს წევრი ავალიშვილი და ფალაფანდიშვილი. აქტივიდან (ტომი მეორე) ვტყობილობთ, რომ ვარსკვლავს ჰავჭავაძეს პეტერბურგიდან ტფილისადმი კიდევ მეორე ქსელიც გაუბამს თვისი მეუღლის მარიამის დახმარებით, ეს მარიამი იყო დაი ელჩის მოადგილის ავალიშვილისა და მან ტფილისში პირველმა შექმნა შეთქმულთა წრე თანახმად პეტერბურგის ინსტრუქციებისა\*\*).

1802 წლის აჯანყების გამო შეპყრობილთ გულიაკოვმა უპოვნა საყურადღებო დოკუმენტი, რომელთა შორის იყო მოთხოვნა მეფის ხარისხის აღდგენისა ბაგრატიონთა ოჯახიდან და ხელწერილი შეგროვილი მოწინავე ქართველთაგან, პეტერბურგში ვარსკვლავს ჰავჭავაძისათვის წარსაგზავნათ. შეთქმულებმა აჩვენეს, რომ მათ ავტოლიანებდნენ, თანახმად პეტერბურგიდან მოსულ ცნობათა, გ. ჰავჭავაძის მეუღლე მარიამი და მისი ძმა, ელჩის მოადგილე, ამჟამად საქართველოში ჩამოსული; ამათ განუცხადებიათ, რომ საქართველოს მალე ეწვევა თვით ს. ლაშქარაშვილი უმაღლესის დავალებით, რათა გამოარკვიოს — სურთ თუ არა ქართველთა დევნა აღადგინონ სამეფო ტახტი\*\*\*). აქტივიდან საკმაოდ ირკვევა, რომ პეტერბურგის წრე ამ კრიტიკულ დროს იარაღს არ ჰყრიდა და ორგვარ მუშაობას იწყოდა: დიპლომატიურს და პოლიტიკურს პეტერბურგშივე (გავისხენოთ სხვათა შორის შესანიშნავი ნოტა გ. ჰავჭავაძისა, რომელიც პროფ. ცაგარელს „გრამოტებში“ მოჰყავს) და ორგანიზაციულს, რომელსაც მოჰყავს ცნობილი აჯანყება 1802 წლისა\*\*\*\*).

მაგრამ ვაყვეთ მოვლენებს თანდათანობით.

როგორც ვსთქვით, ალექსანდრე პირველის ტახტზე ასვლიდანვე იწყება ახალი შეტევა პეტერბურგის ქართველთა წრისა.

\*) იხ. ბუტკოვი, ტომი 3, გვ. 359 და ტომი 2, გვ. 538 - 539.

\*\*) იხ. თამარ პაპავას „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, გვ. 98 - 99.

\*\*\*) იხ. ბუტკოვი, გვ. 98 - 99.

\*\*\*\*) იხ. ი. ჯავახიშვილის „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის“, თბილისი, 1919 წ. (გვ. 62 და 64.

საელჩოს წევრთა, ლაშქარაშვილის და ბატონიშვილთა ცდას უნდა მიეწეროს, რომ განსაკუთრებით მდიდარი მასალა დაგროვდა სახელმწიფო საბჭოს კანცელიარებში და, რაც ჩვენთვის უფრო საყურადღებოა, ი. წ. „არაოფიციალური კომიტეტის“ ვანკარულებაში. ამ კომიტეტმა შექმნა ხელმწიფის ვანკარულებაში (რომელსაც პავლე პირველის მანიფესტზე ერთხელ უკვე ხელი მოეწერა) ყოყმანი და ერთგვარი რყევა გამოეწვია. ამის შედეგი უნდა ყოფილიყო, რომ პეტერბურგმა საჭიროდ დაინახა საკითხი ადგილობრივ შეესწავლა და განსაკუთრებული დესპანი ვაგზავნა საქართველოში, რათა გამოერკვია ორი კითხვა: შექმლო თუ არა საქართველოს თავისი თავის დაცვა და — მართლაც მთელი ხალხის სურვილი იყო რუსეთთან შეერთება?.

თავის - თავად ამ საკითხების დაყენება იყო საქმის ნახევრად მოგება საქართველოსათვის ამ ნაბიჯის შემდეგ, რაიც პავლე პირველის დროს გადაიგდა. მაგრამ აქაც ერთი დიდი მარცხი მოხდა, რამაც მთელი ეს წამოწყება უშედეგოდ დასტოვა... რწმუნებულად სწორედ კნორინგი იქნა ვაგზავნილი, რომელიც თავიდანვე ვაფთრებით ებრძოდა საქართველოს სამეფოს.

19-IV-1081 წ. კნორინგი ამ მისიით საქართველოსაკენ გაემართა და მისი პირველი აქტი უკვე ააშკარავებდა ამ დიდ მოხელის ზრახვას; კნორინგმა ტფილისში ჩასვლისთანავე შემკვიდრე დაეითს, რომელიც ჯერ თუმცა ნაკურთხი არ ყოფილა, მაგრამ ფაქტიურად ვანაგებდა საქართველოს, ვით მომავალი მიფე, ყოველგვარი ფუნქციები ჩამოაცილა, მისი უფლებები სასეპობით აღკვეთა და დააწესა ი. წ. „დროებითი მმართველობა საქართველოსი“, რომლის თავმჯდომარეთ ცნობილი მოძულე ქართველთა ღენ. ლაზარევი დანიშნა... ხოლო ბატონიშვილი არც თუ წევრობის ღირსი ჰყო ამ „მმართველობისა“). თვით დავ. ბატონიშვილი ასე ავციწერს ამ მისთვის დრამატიზმით სასეპ ამბებს: „ამჟამს გარდვიდა კნორილი ქართლსა შინა; მან გადააყენა დავით მართველობისაგან სრულიად და განაწესნა რუსეთურთ მართველობა საქართველოსა „თანხმობითა ქართველთა“, რამეთუ ამჟამს რუსთა მხედრობანიცა შესრულიყვნენ ქართლსათი ათასი... რათა ჰყონ ქართლი ღებურ-

\*) იხ. ბუტკოვი, „მასალები“, ტომი მე-3, გვ. 338 - 9.



ნიათ...“\*). ბატონიშვილი უმხარებულოდ გარ. ქვეყანადაც სდებს ზრალს კნორინგისათვის ყალბ ცნობათა მიწოდებისათვის; ამას გარდა, ის ასახელებს ზოგ განმდგარ ქართველთ და განსაკუთრებით ტფილისის მოვაჭრე სომხობას, რომელთაგან კნორინგმა „მოაგროვა“ მისთვის სასურველი ცნობები და მოახსენა პეტერბურგს, რომ ქართველთ სწავლიათ „ღუბერნიათ“ გამოცხადდეს მათი სამშობლოვო\*\*).

ამავე დროს პეტერბურგს სახელმწ. საბჭოს ხელახლა მოუვიდა ცნობილ მუსინ - პუშკინის განმეორებითი მოხსენება (ივლისში 1801 წ.) რომელშიაც ის არწმუნებდა საბჭოს — თუ რადიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმპერიისათვის საქართველოს შეერთებას. ეს მოხსენება გადაეცა საბჭოს ღენ. პროკურორ ბეკლევოვს, რათა ის „არაოფიციალური კომიტეტის“ ცნობათა საწინააღმდეგოთ გამოეყენებინა საბჭოს. ეს მოხსენება იმეორებდა ცნობილ ახრებს მუსინ - პუშკინისას საქართველოს სტრატეგიულად, ეკონომიურად და პოლიტიკურად გამოყენების შესახებ.

კნორინგაც შესაფერისის „პასუხით“ მალე დაბრუნდა პეტერბურგში. მაგრამ სწორედ ამ დროს გააცხოველა მუშაობა პეტერბურგის ქართველობამ და ალბად ამის შედეგი უნდა იყოს, რომ 24 - VII 1801 წელს პირადათ ხელმწიფეს წარედგინა ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება საქართველოს შესახებ „არაოფიციალურ კომიტეტი“-საგან. ამ მოხსენების ავტორად ითვლებოდენ საკითხის მცოდნე პირები, წევრნი „არაოფიციალურ კომიტეტისა“: გრ. ა. ვორონცოვი და გრ. ვ. კოჩუბეი, ორივენი ამავე დროს მინისტრების (სახელმწ. კანცლერის და ვიცეკანცლერის) ხარისხის მატარებელნი. ესენი არიან ექსპონენტები იმ ახალ, ლიბერალურ იდეებისა, მაშინ რომ ცდილობდა რუსეთში ფეხის ადგმას; საქართველოს საკითხი მათთვის პირველი ცდა იყო იმპერიალიზმის და რეაქციის (პლ. ზუბოვის, მუსინ - პუშკინის და სხვ.) დასამარცხებლად მიმართული.

თვის მოხსენებაში ვორონცოვი და კოჩუბეი ხელმწიფეს ურჩევენ — არ გაჰყვეს ეკატერინას და პავლეს ავანტიურის გზებს; თავი გაანებოს დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებას და საქართველოს ძალით შეერთებაზე ხელი აიღოს.

რაც შეეხება ქართველი ხალხის მითომდა „სურვილს“, მომხსენებელნი ფიქრობენ, რომ ასეთი შეერთების „სურვილი“ მხოლოდ სიყალბეზე და სიცრუეზეა აშენებული. ვინ შეეკითხა ქართველ ხალხსო? და დასძინენ, რომ ყოვლად წარმოუდგენელია, თითქოს თვითონ სამეფო სახლი, რომელსაც აქვს უძველესი და ნაკურთხი უფლება ტახტზე ასვლისა, ასე უბრალოდ სთმობდეს ამ უფლებებსო... რაც შეეხება, სპარსეთ - ინდოეთის სავაჭრო გზებზე ოცნებას, რისთვისაც მითომ უცილო იყოს საქართველოს შემოერთება, საჭიროა ჯერ საკუთარი წარმოების შექმნაზე ვიზრუნვოთ და არა ამგვარ ფანტასტიურ სავაჭრო „სპეკულაციებზეო, არც საამისო კაპიტალი მოეპოვება რუსეთსაო“, განმარტავენ კომიტეტის წევრები.

კერძოთ საქართველოს მდიდარ მადნეულობაზე ოცნება მუსინ - პუშკინისა, „სპეკულიატიური გეგმები“ რაც უფრო შეეფერება რომელსამე სავაჭრო კომპანიას და არა დად სახელმწიფოსო... ხოლო, თუ საქართველოს საკუთარის ძალებით თვისი საზღვრების დაცვა არ ძალუძს, ამისათვის საჭიროა უკვე ერთხელ დადებული ტრაქტატის შესრულება: (ე. ი. 1783 წლის ხელშეკრულების თანახმად რეალურ დახმარება - მფარველობის გაწევა) ახალ ჯარების მიშველება და არა სამეფოს გაუქმებაო.

დარჩა საკითხის იურიდიული და ეთიური მხარე; ეს კი თავისთავად მეტყველებს, რომ რუსეთს არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვს ამ ძველ სამეფოს გაუქმება მოახდინოს და ქვეყანა ძალად შემოიქროთოსო. ცნობილი ტრაქტატი ავალებს იმპერიას, თვისი პირობები პირნათლად შეასრულოს და რეალური დახმარება გაუწიოს მოკავშირესო. ჩვენ რომ ეს „პირობები“ დროზე შეგვესრულებინა და თანახმად შეპირებისა, საკმაო ჯარი მიგვეშველებინა, ალა-მაჰმად ხანი 1795 წ. საქართველოში შეჭრას ვერ გაბედავდა და ქვეყანა საშინელ რბევას გადაურჩებოდაო და სხვა...\*).

მთელი „გაუგებრობა“, რომელიც გიორგი მეფის დროს წარმოიშვა, მომდინარეობდა იქედან, რომ „თხოვნიტი პუნქტებში“ შეფე მართლაც ითხოვდა საქართველოს შეერთებას. მაგრამ ეს „შეერთება“ არ უნდა ყოფილიყო სრული გაუქმება საქართველოს ავტონომიურ უფლებათა. ეს უნდა ყოფილიყო ორი მხარის შეთანხმება.

\*) ეს ცნობა მოგვყავს ზ. ავალიშვილის წიგნიდან: «Присоед. Грузии к России». გვ. 233.

\*) იხ. „ნარკვევი“ დ. ბატონიშვილის, გვ. 62.  
\*\*) იხ. დასახელებული წიგნი პროფ. ივ. ჯავახიშვილისა, გვ. 61.



პირობა, რომლის შეცვლა მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით თუ შეიძლებოდა. რაც შეეხება სამეფოს და მეფის ხარისხს. ეს ხომ უწყევად უნდა დაშთენილიყო სამუდამოდ; ხოლო რეპროტორმა პავლეშ თვისი მანიფესტი ცალმხრივად, შეადგინა და გამოაქვეყნა კიდევ 18/12 1800 წელს (როცა მეფე გიორგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, თუმცა პეტერბურგს იგი მკვდარი ეგონა)... ეს იყო პირობის დარღვევა პავლე I მიერ; და ამიტომ ამ უსამართლობის ნიშნადვე შექმნილ რეკონსტრუქციის გაუქმებას მოითხოვეს „არაოფიციალური კომიტეტი“...

ამ „კომიტეტის“ მეთაურს, გრ. კოჩუბეის წრფელად შესტკეოდა გული ამ უსამართლობის გამო და ის ენერგიულად შეეცადა გაღახულ უფლებათა აღდგენას. ეს ის კოჩუბეი იყო, რომელიც ზ. ავალიშვილის მოწმობით, გამოჩხატული შეიქმნა მაშინდელ მოწინავე იდეებისა და ამით წარსული სამეფოს საიხილე და ვერაგობა ბეჭტს დავიწყებას მიაკეცინაო\* ).

როგორც ვხედავთ „არაოფიციალური კომიტეტი“ დიდ ცოდნას იქნეს საქართველოს მაშინდელ ვითარებისას და ჩვენთვის აშკარა ხდება, რომ გრ. კოჩუბეის მრჩეველი და რეფორმატორი პეტერბურგის მაშინდელი ქართველობა უნდა ყოფილიყო, რომელთა მოწინავე რიგებში ილაშქარაშვილი, ჭავჭავაძე და ბატონიშვილები იდგნენ...

როგორც აღვნიშნეთ, იყო ერთი დაბრკოლება ამ „კომიტეტისათვის“; ეს ის, რომ სახელმწიფო საბჭოს და თვით ხელმწიფის განკარგულებით სწორედ ამ დროს „ავროვებდა“ კნორინგი ტფილისში პლატონ ზუბოვის და პეტერბურგში მყოფ სომეხთა წრის (არარაცკის ირგვლივ რომ თავს იყრიდენ) შთავონებით საქართველოსთვის გამანადგურებელ ცნობებს...

ამიტომ „კომიტეტმა“ მოითხოვა დაუყონებლივ გაგზავნილიყო რომელიმე ახალი, „მიუდგომელი“ პირი, რომელიც დინჯათ და დაკვირვებით შეისწავლიდა სამეფოს აწინდელ მდგომარეობას. ამას გარდა მას საჭიროდ მიაჩნდა, დაუყონებლივ წარეგზავნათ ელჩი (მინისტრი) საქართველოს კარზე. ამ აქტით უნდა მომხდარიყო არა თუ გადასინჯვა პავლეს მიერ აღებულ ხაზისა, არამედ უკვე გამოქვეყნებულ მანიფესტის ფაქტიური გაუქმე-

ბა. არ არსებულ სამეფოს კარზე იმპერიის მიერ ელჩის დანიშვნა — ხომ მის იურიდიულ ცნობას უღრიდა, მკვდრებით აღდგენას...

დარჩა კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც პავლე პირველის მთავრობა ემყარებოდა საქართველოს გაუქმებისას. ეს იყო ბატონიშვილთა შორის ატეხილი დავა ტახტის ირგვლივ. „კომიტეტს“ ეს დავა უმნიშვნელოდ მიაჩნია და ურჩევს ხელმწიფეს — დანიშნოს ერთ-ერთი ბატონიშვილი ნამდვილ მემკვიდრეთ „თანახმად საქართველს“. არსებულ ლეგიტიმისტურ წესისა, ანუ ისეთი მათთაგანი, რომელიც პირადის ღირსებით შეეფერება ამ უმაღლეს ტიტულსო“...

როგორც ვიცით, ბატონიშვილი დავითი გიორგის „თხოვნითი პუნქტებს“ ემყარებოდა, ხოლო იულონის მომხრენი კი ერეკლეს „ტრაქტატს“ — რაც ფორმალურად ჯერ ძალაში ითვლებოდა.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთი საქართველო, რომელიც კარგად ხედავდა დიდი იმპერიის მოახლოების საფრთხეს, სწორედ იულონის პარტიას მიემხრო და ერეკლეს ტრაქტატის აღდგენა მოითხოვა. მეფე გიორგის ფრიად შეკვეცილი უფლებანი „თხოვნითი პუნქტები“-ს თანახმად ჯერ კიდევ სუვერენ მეფეს იმერეთისას ათასწანიერ ხიფათს უმზადებდა. მან იცოდა, რომ ქართლ-კახეთის დაცემას იმერეთზე შეტევა მოჰყვებოდა და ამ დროს „თხოვნითი პუნქტები“-ს მსგავსი „შეთანხმება“ მისთვის მომავდინებელი იქნებოდა. ამით აიხსნება სოლომონ მეორის მიერ გაწეული მფარველობა იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილთაღმე და მისი ცდები სამამუდანიო მეზობელ ქვეყნების გულის მოსაგებად იულონის სასარგებლოდ.

კნორინგის ტფილისში ჩამოსვლამ და სამეფოს საწინააღმდეგო „ცნობათა“ შეგროვებამ სახელმწ. საბჭოსათვის მოსახსენებლად სოლომონ მეორეს ახალი იქვეები აღუძრა და ის ახალ დივერსიის მოხდენას შეეცადა ამ ყამად რუსეთის კარის წინაშე.

სათანადო ნოტებითა და დოკუმენტებით აღჭურვილი დესპანი ჯაფარიძე მეფემ პეტერბურგისაკენ გაისტუმრა. ამ რწმუნებულს საქართველოს ორგულთა ვიწრო წრეში „შეკრებილი“ და ტენდენციურად დამუშავებული ცნობები კნორინგისა უნდა გაებათილებინა და პეტერბურგის ქართველთა ჯგუფის პოლიტიკურ-დიპლომატიური მუშაობა გაეადვილებინა. მეფე სოლომონ მეორე, თუ კი ქართლის ტახტის აღ-

\*) იქვე გვ. 227.

დგენა ერეკლეს 1783 წლის ტრაქტატის ნიადაგზე მოხდებოდა, თვითონაც გამოსთქვამდა წადილს ამგვარსავე ქვეშევრდომობის მიღებისა. სასყიდელი მართლაც მიძიმე იყო, მაგრამ ამ მსხვერპლზე მეფე ნებაყოფლობით მიდიოდა, თუ ტახტი გადაურჩებოდა... მაგრამ მეფის იმედები არ გამართლდა. ივლისში წარგზავნილი დესპანი კნორჩინგმა „ლინისზე“ შეაჩერა და პასპორტი არ მისცა...

ჯაფარიძე დაპირებებით მრავალ თვეთა მანძილზე „შეიქცის“, ხოლო იანვარში 1802 წელს გამოუცხადეს, რომ ამ „კითხვის“ გამო აზრი აღარა აქვს ასე შორ მოგზაურობას; და რომ ქართლ-კახეთის შეერთების საკითხი 12 სექტემბრის მანიფესტით უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია\*).

კნორჩინგმა ივლისშივე დაამთავრა თვისი მისია — ცნობილი ორი კითხვა „შეისწავლა“ და უკვე წინასწარ შემზადებულ მოხსენებით ხელმწიფეს და საბჭოს წარუდგა.

ამ ტრაგედიის უკანასკნელი აქტი ჩვენთვის ხომ ცნობილია... პლატონ ზუბოვის, მუსინ-პუშკინის, ბეკლეშოვის და კერძოდ კნორჩინგის მოსაზრებანი რეაქციონერმა საბჭომ მოიწონა და შესაფერისის დასკვნით ხელმწიფეს მიართვა. აქვე მას უმტკიცენულო და „პლატონ“-საგან უკვე ნაკურთხი გამოსავალი უჩვენეს: თითქოს ხელმწიფე ალექსანდრე აქ არაფერ შეაში იყო, — აკი მისმა მამამ ეს ნაბეჯი ადრევე გადადგა და ალექსანდრეს ფაქტი საქართველოს სამეფოს მოსაზობისა უკვე შესრულებული და საქვეყნოდ გამოცხადებული დახვდა...

ხელმწიფემაც ერთბაშად უკუ აგდო ლმობიერების მანტია, ეთიური მხარე საკითხისა მას ეხლა უკვე აღარ შეეხებოდა და ყველაფერი „ცხოვრებულ“ მამას მიაწერა.

იმპერატორის ამ მორალურ სიმძიმეთაგან განტვირთვას წინ უძღოდა სახელმწ. საბჭოს 8 აგვისტოს დრამატიული სხდომა. აქ „არაოფიციალ კომიტეტი“-ს კეთილშობილი და იურიდიულად მტკიცეთ დასაბუთებული პოზიცია ერთხელ კიდევ დაუპირდაპირდა ზუბოვების რეაქციონერ და იმპერიალისტურ ზრახვებს... ერთხელ კიდევ გაქარწყლებულ იქნენ მუსინ-პუშკინის დებულებანი და კნორჩინგის მოხსენების, ანუ „პასუხები“-ს თეზები. მაგრამ საქმე უკვე წინასწარ განწირული იყო... ხელმწიფეს ამ

\*) იხ. ბუტკოვი „მასალები“, ტ. მე-3, გვ. 341 და 348.

„რყევათა“ თვეებში საკმაოდ „დაუშაქრდა“ მიღება საქართველოსი საუკუნო „საფარველი“-ს ქვეშე.

მაგრამ „არაოფიციალურ კომიტეტის“ წარმომადგენლებმა თვისი მორალური განაჩენი ისტორიის მაინც შეუნახეს და გრაფ. კოჩუბეიმ ამ „მკვლელობის“ გამო საბჭოს ოქმებში პროტესტი შეატანინა. მან ერთხელ კიდევ დაასაბუთა თვისი მიგობრების უარყოფითი მიდგომა ამ საკითხისადმი. ამავე დროს მან გააფრთხილა რუსეთი, რომ საქართველოს შეერთებით იმპერიის საზღვრების დაცვა უფრო სასიფათო და საბედისწერო გახდებოდა. „ხოლო ფორმალურად რუსეთს არავითარი უფლება არა აქვს ამ დადგენილებით მოსაპოს მემკვიდრეობითი მონარქია საქართველოში, რომელსაც ასეთი გრძელი ტრადიცია და ისტორია აქვსო“... ჩვენ კარგათ ვიცით, განაცხადა კოჩუბეიმ, რომ ბაგრატიონთა დინასტიის წევრები არა თუ უარს აცხადებენ თავის უფლებებზე, არამედ თავგამოდებით იცავენ მასო. ამიტომ შემოერთება საქართველოსი იქნებოდა უდიდესი ძალადობა ამ დინასტიაზე მოხდენილიო. კოჩუბეი ბოლოს ერთხელ კიდევ მოუწოდებს საბჭოს დასტოვოს საქართველოს სამეფო თვისს უფლებებში, პროტექტორატის ქვეშ, რომელსაც ეკატერინა მე-2-მ ხელი მოაწერა; გაუწიოს მას აღთქმული დახმარება ჯაჩიტა და აზტილერით და წარგზავნოს სრულუფლებიანი მინისტრი სამეფო კარზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება განვამტკიცოთ საქართველოს მდგომარეობა შინ და გარედ და არა მისი სამეფოს გაუქმებითო.

მაგრამ, როგორც ვსთქვით, რუსეთის მთავრობას საქმე დამთავრებულად მიიჩნდა.

პლატ. ზუბოვმა მყის მიართვა ალექსანდრე I ადრევე სტილისტურ მაღალ ფურდოვან ფრაზეზებით შედგენილი მანიფესტი და 12/9 1801 წ. უკვე მეორე რედაქცია ამ მანიფესტისა პეტერბურგს და ქვეყანას ეუწყა; ხოლო საქართველოში მისს გამოცხადებას კიდევ აგვიანებდენ, უფრო მოხერხებულ დროს და მღელვარებათა დაცხრომას უცდიდენ... მაგრამ დაყოვნებაც არ იქნებოდა და 12/4 1802 წ. მანიფესტი ტფილისშიაც გამოცხადდა, უფრო გულსაკლავი, მაგრამ უფრო გრძელი და ლამაზ ფორმებში გახვეული, ვიდრე ის პირველი, პავლემ რომ აუწყა ქართველთ 1801 წ. 16 თებერვალს\*).

\*) იხ. ივ. ჯავახიშვილის დასახელებული მონოგრაფია, გვ. 63.

პეტერბურგის ბატონიშვილთა წაქეზებით ერთხელ კვლავ შეეცადა საქართველო თვისი ნამდვილი წადილი მიეწვდინა ხელმწიფისათვის და ამ „გაუგებრობის“ განმარტება მოცინოვანა, რომელმაც ასე მოულოდნელად თავზარი დასცა ქვეყანას. გადაწყვეტილი იყო, მითომდა მადლობის გამოსაცხადებლად „მფარველობის მიღებისათვის“ საქართველოს წარჩინებულთა დეპუტაცია წარსდგომოდა „მოწყალე“ ხელმწიფეს... მაგრამ ალექსანდრე I-მა აღაჩინებდა დეპუტაციის მიღება და ურჩია მათ ასეთი ძნელი მგზავრობა თავიდან აეციდინათ\*). ამით დამთავრდა ეს მწვავე ფურცელი საქართველოს მატიანესი და პეტერბურგის ქართველობამ უდიდესი დამარცხება განიცადა... „არაოფიციალურ კომიტეტის“ და კოჩუბეის ცდა უნაყოფო გამოდგა. მაგრამ საქართველო ამ განაჩენს არ დაემორჩილა და რაკი ლეგალური: დიპლომატიური და იურიდიული საბუთები არა სკრიდენ, საქმე ძველ, ნაცად მამა - პაპურ ხმალს უნდა გადაეწყვიტა, ის კიდევ „სჭრიდა“...

პეტერბურგის ქართველობა გულის ფანცქალით აღევნებდა თვალ - ყურს 1802 წლის ზაფხულზე მომხდარი აჯანყებას, რომელმაც კონორჩინგი და ლაზარევი ვერ მოერივნ. ესლა საჭირო შეიქმნა უფრო მრისხანე და უტყვის ძალა და საქართველოსთვის მუდამ საბედისწერო თვემ მოიყვანა ციციანოვი ბაგრატიონთა სატახტო ქალაქში. (1/2 1803 წ...) ციციანოვი ენერგიულად მოუკიდა პეტერბურგის და კერძოთ ხელმწიფის საიდუმლო ინსტრუქციასა გატარებას და ცეცხლით და მახვილით გაუსწორდა ყველას, ვინც ოდნავი ურჩობა გამოიჩინა საქართველოს ღირსებათა და უფლებათა დამოზობის საქმეში.

მან მიზნად დაისახა ბაგრატიონთა დინასტიის სრული განადგურება, რუსეთის შთელ კავკასიაში გაბატონების დასაჩქარებლად.

დაეუბრუნდეთ პეტერბურგის ამბებს: ჩვენთვის ამ ხანად საინტერესოა ფიციოდეთ: მასწმედვ, რაც დიდი ბრძოლა სახელმ. საბჭოში საქართველოსთვის წაგებულ იქმნა, იყო თუ არა რაიმე შესაძლებლობა, იმედი საქართველოს და ბაგრატიონთა ტახტის აღსადგენად?

ჩვენ ვიცით, რომ ეს გზები საქართველოში გამოიხატა სრულიად ახალის სახით და სტილით: ეს იყო დარაზმვა, იარაღით დაპირისპირება, აშკარა მღელვარება და აჯანყებანი, რუსეთის ყოველ საგარეო გართულებათა გამოყენება, სპარ-

სეთ - ოსმალეთის და სამაჰმადიანო სახანოების ბრძოლებთან მოქმედების შეთანხმება... ამას მოჰყვენ აჯანყებანი 1804, 1812, 1820 წლებისა და კიდევ მრავალი უფრო მცირე მამტაბისა.

მაგრამ ამხელად ჩვენ გვინდა ქართველთა დიპლომატიურ - პოლიტიკური ბრძოლებზე შევიხრდეთ, რომლის ცენტრად ისევ პეტერბურგი დარჩა და შეიძლება ითქვას, რომ ეს მუშაობა ბატონიშვილთა მეთაურობით ცნობილ 1832 წლის შეთქმულებამდე არ შეწყვეტილა\*).

საფიქრებელია, რომ ბატონიშვილთა წრეს, რომელსაც ეხლა უფრო გამოცდილი და სახელოვანი ჯგუფი მემატა (ახალ გადასახლებულთა ზედდართვით) თვისი კავშირი სახელმწიფო საბჭოსთან, პეტრე ბაგრატიონთან, ლაშქარაშვილთან და კერძოთ „არაოფიციალურ კომიტეტი“-ს წევრებთან არ შეწყვეტოს და მათთვის ახალ უსამართლობათა და რბევა - ძალმომრებათა შესახებ ცნობები და დოკუმენტები სისტემატურად მიეწვდინოს. ორი წევრი ამ „არაოფიციალურ კომიტეტი“-ს ხომ პირველი მინისტრები იყვნენ!

რა თქმა უნდა, იდეს მათ აღარ შეეძლოთ იმპერატორის მიერ აღებულ ზანის განხრა; სახელმწიფო საბჭოს გეზი უნდა ურყევლად გატარებულიყო და საამისო ინსტრუქციები მრისხანე ციციანოვს არ მოკლებია; მაგრამ საქართველოსადმი ჩადენილი უსამართლობა, მოწინავე იდეების კაცს, ტომით უკარანელს, გრად კოჩუბეის სინილისს ქენჯნას ჰგვრიდა; და ის დროს და გარემოებას უცდიდა...

მისი ამოცანა შესაძლებელია ბევრად გაადვილებული ყოფილიყო, რომ კავკასიას მმართველად ამ ქამად ასეთი ცივი და უხეში რენეგატი არ მოვლენოდა, როგორიც იყო ციციანოვი, — კაცი ბაგრატიონებისადმი გაუგონარის შურის ძიებით აღვსილი და ხელმწიფე ალექსანდრეს შარჯვენა ხელი—მისგან სრულის და განუსაზღვრელის ნდობით აღჭურვილი... ეს გარემოება ყოველ ცდას თავშივე ჰკლავდა და კოჩუბეის საქართველოს დაცვის საშუალებას უსპობდა... მაგრამ საქართველოში მალე ისეთი ამბები დატრიალდა, რომ კოჩუბეიმ მომენტი ხელსაყრელად დაინახა.

\* უფრო დაწვრილებით ამაზე იხ. ჩვენი ნარკვევები 1832 წ. შეთქმულებაზე „კავკასიონში“ (კახაბერის, ქეიბურის და თუთბერიძის ფსევდონომით).

\*) იხ. ბუტკოვის „მასალები“, ტ. მე-3, გვ. 354.

1802 წლის მღვდელმთავრებას მალე უფრო ძლიერი და ორგანიზაციულად კარგად მოწყობილი აჯანყება მოჰყვა, რომელიც დოკუმენტებში 1804 წლის ამბოხების სახელით იხსენიება.

საქართველოდან გახიზნულმა ბატონიშვილებმა (იულონმა, ფარნაოზმა, თეიმურაზმა, ლევანმა და ყველაზე უფრო კი ალექსანდრემ) კვლავ მოახერხეს სამეფო დროშის ამართვით აჯანყების დიდი კოცონის გაღვივება.

ციციანოვი ერთბაშად საგონებელში ჩავარდა. მის მიერ დიდის მასშტაბით დაწყებული ექსპედიცია აბას-მირზას წინააღმდეგ და, ვანსაკუთრებით კი, ერევნის სახანოზე მიტანილი იერიშები, ეხლა მთავრულით აჯანყების გამო, სრულის მარცხით უნდა დამთავრებულიყო.

ამ გართულების დასახასიათებლად ჩვენ ბუტკოვის დღიურიდან მოკლე ცნობას მოვიყვანთ: „ამა წლის მისიდან, მაშინ, როცა დიდმა აჯანყებამ იფეთქა და თავაურელებმა (დათარუკა ახმედის მეთაურობით) ჩაჩნების, ლეკების და სხ. დახმარებით ჩაჰყეტეს თერგზე დარიალის ვიწროები და ამით ლაჩრის გარნიზონი იძულებული ჰყვეს სიმშობის გამო დანებებულიყო... ამჟამად დროს ჩაჩნები ეცემიან ყუმბელის რედუთს და უტყვენ განუწყვეტილად — მთელ ზაფხულის განმავლობაში — ჩვენს ჯარებს, ხოლო ბატონიშვილნი იულონი და ფარნაოზი სჭრიდენ ყოველგვარ კავშირს რუსეთთან არაგვის ხეობით; ასე რომ კავშირი საქართველოსა და კავკასიის ხაზის შუა საფხვრით სწყდება...“

ამ დროს უფრო კრიტიკული ხდება ერევნის ფრონტზე რუსის ჯარის მდგომარეობა, და ციციანოვი იძულებულია დასტოვოს საქართველო, მმართველობა ვოლკონსკის გადასცეს და ერევნის ციხის აღკვეთა პირადად უხელომძღვანელოს.

აგრეთვე არეულობა იწყება ყაზახსა და ბაშბაკში, სადაც ალექსანდრე ბატონიშვილი შეიჭრა და ერეკლეს დროშაზე კვლავ დააფიცა აჯანყებულნი... ყაზახის მოურავათ მაშინ ყოფილი ელჩი გარს. ჭავჭავაძე ითვლებოდა, და კავშირი საქართველოსა და ერევანს შუა წყდება. მალე ჯარს სურსათი და იარაღი შემოაკლდება და ციციანოვი უმწეო მდგომარეობაში ვარდება... ცნობა რუსეთსა და საქართველოს შორის საკომუნიკაციო ხაზის გაწყვეტის შესახებ მთელ საქართველოს ელვის სისწრაფით მოედება; ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმი დღითი დღე იზრდება.

ლენ. გლაზენაპი პატაკებს უგზავნის მთავრობას საქართველოსა და რუსეთს შორის საკომუნიკაციო ხაზის შეწყვეტის გამო.

პეტერბურგი ფეხზე დადგა; კავკასიის და საქართველოს დაკარგვის შიში რეალობად იქცა. სახელმწიფო საბჭო ნერვიულობს და სამხედრო და საზღვაო მინისტრები საგანგებო სხდომებს მართავენ 20 და 28 ივნისს\*).

თან და თან ოსეთის და მთიულეთის აჯანყება მკვეთრის სიძლიერით ვითარდება და ბატონიშვილები ფარნაოზ და ლევანი გასაოცარ სიმხნეს იჩენენ; ალექსანდრე ბატონიშვილის პროკლამაციები მთელ საქართველოს ეფინება... იმერეთის მეფე სოლომონი II ყოველგვარ დახმარებას და მფარველობას უწყევს აჯანყებულთ. არც ევროპა რჩება გულგრილ მაყურებლათ ამ ამბავთა...

ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიყვანო ერთი პატარა ცნობაც.

ბუტკოვი სწერს, რომ სწორედ ამ დროს კონსტანტინოპოლით ტაგანროგში ჩამოვიდა ფრანგი: გრ. ლასკარ დე ვიონემილი, რომელსაც სწაღდა ოსეთში გადასვლა **აჯანყებულებთან შესაერთებლად...** ის ატარებდა **მამელუკის** ტანთსაცმელს და იყო კავშირში საფრანგეთის სამინისტროსთან... გაჩხრეკისას მას უპოვეს პროექტი ტრაპიზუნდის იმპერიის აღდგენისა, რომლის მეფეთ თვითონ უნდა კურთხეულიყო. კავკასიის აჯანყებასთან მას რაღაც კავშირი ჰქონდაო, დასძინს ავტორი. რუსებმა მას, რათქმა უნდა, ამის საშუალება არ მისცეს და მოსალოდნელ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად დაპატიმრებული „მამელუკი“-ფრანგი უკან დააბრუნეს\*\*).

ჩვენთვის საინტერესოა, რომ მაშინდელ კავკასიის და კერძოთ საქართველოს ამბებთან ნაპოლეონს მართლაც რაღაც კავშირი ჰქონდა. ამის ნიშნებს ჩვენ სხვა ადგილსაც ვხვდებით „აქტებში, მაგრამ ამასე სხვა დროს...

ეხლა დავუბრუნდეთ პეტერბურგის ქართველთა წრის მუშაობას და კერძოთ კოჩუბეის ახალ ცდას.

ლენ. გლაზენაპის ცნობების მიღებიდან დაიწყო პეტერბურგის კარზე ერთგვარი დაბნეულობა, მღვდელმთავრება და სამინისტროს სასწრაფო სხდომები..

\*) იხ. ბუტკოვი, ტ. მე-3, გვ. 374.

\*\*\*) იქვე, გვ. 374.



კოჩუბეის მოქმედებისათვის ხელსაყრელი მომენტი დგებოდა. ამ დროს ირუსთა მარცხს კიდევ ახალი მიემატა: ციციანოვი მართლაც იძულებულია თავი დამარცხებულად სცნოს, იმპერიის პრესტიჟი დასთმოს და ერევნის ალყა მოხსნას...

ეს მოვლენა ციციანოვს პეტერბურგის კარზე ერთგვარი ჩრდილს მაინც მიაყენებდა.

იქნებ უფრო ფრთხილ და თანდათანობით რეფორმებით მეტი შედეგების მიღება შეეძლო იმპერიას, ვიდრე ციციანოვის „დაკვირით“ მოქმედებით.

ეხლა ამ „ფრთხილს“ გზით მოვლას კოჩუბეი დიდ უპირატესობას აძლევდა.

ის შეეცადა საქართველოს საკითხი მაშინდელ გართულებათათვის გადაება და კაბინეტში და შემდეგ კი უფრო ვაბედვით ხელმწიფის წინაშე საქართველოს მმართველობის „რევიზიის“ საკითხი წამოეყენებინა; უნდა ვიფიქროთ, რომ ოფიციალურ ცნობებს, რომლებიც ფრიად დამაფიქრებელნი იყვნენ, ემატებოდა კერძო ინფორმაცია და დოკუმენტები, რაიც ქართველ ბატონიშვილთაგან მისდიოდა კოჩუბეის... როგორც აღვნიშნეთ, ეს იყო სამეფო ტახტის ბედის შესაბრუნებლად უკანასკნელი და თამამი ნაბიჯი სამინისტროს უმაღლეს კაბინეტის მიერ გადადგმული, რასაც გულის ძვერით თვალ-ყურს ადევნებდნენ გადასახლებული დედოფლები, ბატონიშვილები, სამეფოს ყოფილი ელჩები და საერთოდ მთელი მოწინავე ქართველობა. ეს გზა ადვილი არ იქნებოდა: აკი 12 სექტემბრის მანიფესტი კარგა ხნით ცხოვრებაში გატარებული იყო და შესაფერს სამმართველო, რუსული ორგანოები ჩვენში უკვე შექმნილ იყო. ყველა ამის შებრუნება, ვიმეორებთ, ეხლა ადვილი არ იყო და კოჩუბეის წინ მძიმე ამოცანა იდგა: ხელმწიფეს როგორმე თვისი უკანასკნელი ბრძანებანი უკან უნდა წაეღო და იმპერიის დიდი გეგმები კავკასიის შემომტკიცებისა, ინდოეთის სავაჭრო გზის დაბატრონებისა და სხვა, კარგა ხნით დაევიწყებინა.

მაგრამ ის დამაფიქრებელი და მწარე ამბები კავკასიიდან და კერძოთ მთიულეთ-ერევნიდან რომ მოდიოდა, განსაკუთრებით კი „საკომუნიკაციო ხაზის“ „მოჭრის ცნობა საქმაო საბუთი იყო საქართველოს საკითხში დათმობაზე წასვლისათვის; საჭირო შეიქმნა ამ „დამარხულ“ ამბებს ბაგრატიონთა ტახტისას, ისევ დღის სინათლე ენახა და უნდა ახალი, საკომპრომისო გზების

ძიება დაწყებულიყო.. და ფრთხილმა დიპლომატმა კოჩუბეიმ ხელმწიფეს დიდი საფრთხის სურათი გაჩაღაშალა; სურათი, რომელსაც ევროპაში მომხდარი უკანასკნელი ამბები, ნაპოლეონის განსაკუთრებული აქტიობა და რუსეთთან მოსალოდნელი ვართულება, შუქის ფერებით აჩვენდა.

ამ დროს აჯანყებულ საქართველოს ხელში დაქვრა ადვილი არ იყო, განსაკუთრებით ერევნის მარცხის შემდეგ, რამაც კავკასიის ყველა სახანოები ფეხზედ დააყენა.

ალექსანდრე I ამ საფრთხემ მართლაც დააფიქრა და ის კოჩუბეის წინადადებას მიემხრო; მაგრამ ერთი პირობით: საჭირო იყო წინასწარ ხელმწიფის მარჯვენა ხელის, თავად ციციანოვის დადებითი დასკვნა. — მართლაც **სასარგებლოდ და დროულად** მიაჩნდა მას ამ პირობებში საქართველოს საკითხის ხელახლა წამოყენება? მართლა მიზანშეწონილად სთვლიდა ის ტახტის და ბავრატიონთა საკითხის დაყენებას? აკი მას სულ საწინააღმდეგო უმაღლესი ინსტრუქციები გაატანა ხელმწიფემ სწორედ ამ ერთი წლის წინ... როგორ შეხვდებოდა ეხლა ის ამგვარ სრულიად საწინააღმდეგო უმაღლეს განკარგულებებს. იქნებ ამას, ისედაც წამხდარი საქმე, უფრო ვაეფუტებინა... ასე თუ ისე, ეხლა ამ შეთანხმებით მინისტრ კოჩუბეის ნახევრად მაინც მოგებული ჰქონდა საქმე; ხელმწიფე პრინციპიალურად მზად იყო თვისი მანიფესტი საქართველოს გაუქმების შესახებ **უკან წაეღო...** დარჩა საკითხის მეორე ნახევარი საქმის ბოლომდე მისაყვანად და კოჩუბეის, თუმცა მან იცოდა, რომ ეს მეორე ნახევარი პირველზე ადვილი არ იქნებოდა, ოდნავი იმედი მაინც ჰქონდა, რომ ციციანოვი არა მარტო ირუსის ღენერალი იყო, არამედ ტომით ქართველი და ქართულ სისხლი, ხომ ასე ერთბაშად ვერ გასწირავდა ძველ სამშობლოს ბედს.

ამ ამოცანას თითქოს აადვილებდა ის გარემოება, რომ ციციანოვი ამ ხანებში იმერეთის ავტონომიურ მმართველობის შემოღების წინადადებას აყენებდა პეტერბურგში. ამ პროექტის ძალით მეფე იმერეთისა ფაქტიურ ბატონ-პატრონად უნდა დაშთენილიყო თვის ქვეყანაში და სამეფოც მემკვიდრეობით უნდა შენახულიყო. (როგორც ვიცით 25/4 1804 წ. მოხდა მეფე სოლომონ მეორის და ციციანოვის შორის შესაფერ პირობებზე ხელის მოწერა ქართლ-იმერეთის

საზღვარზე\*). და ეს ხელშეკრულება, იმერეთის ავტონომიურ მმართველობას თითქმის ხელუხლებლად რომ სტოვებდა, შეიძლებოდა ერთგვარ ნიშნულად, პარალელად დასდებოდა ქართლ - კახეთის აღდგენის სამეფოს ძალა - უფლებებს...

საყურადღებო ამ „ტრაქტატში“, რომელიც, როგორც ესთქვით, მოპირდაპირეთა მიერ გაცემულ ნოტების სახით იქმნა დადგენილი, ის იყო, რომ იმერეთის ტერიტორიაზე დაბანაკებული რუსის ჯარი თვით იმერეთის მეფეს უნდა დამორჩილებოდა... სოლომონ მეორის ნოტაში ნათქვამია: „და რაკი ჩვენ შევდივართ რუსეთის ქვეშევრდომობაში, — ჯარები, რომლებიც მოთავსებული (დაბანაკებული) იქნებიან ჩემს ქვეყანაში, ისე უნდა მოეპყრან ჩემს მტრებს და მოწინააღმდეგებს, ვითარცა მტერს და მოწინააღმდეგეს თვით რუსეთისას და ეს უნდა ხდებოდეს ჩემის ბრძანებით“-ო\*).

საპასუხო ნოტაში ციციანოვი (22/4 1804 წელს), მეორე მუხლით ადასტურებს, რომ „უფლებანი და უპირატესობანი მათის უმსაღესობისა (ე. ი. მეფის) რჩებიან ყველანი თავისს ძველს ძალაში და რომ ჯარი შემოყვანილი იქმნება დასაცავათ გარეშე მტერთაგან და დასამყარებლად მშვიდობიანობისა და სიწყნარის თვით იმერეთის სამეფოში. და ყოველი, რომელიც რითიმე ამის დაარღვევას მოინდომებს, წარედგინება სათანადო დასასჯელად თვით იმერეთის მეფეს...“ და სხვ.

კოჩუბეის საიდუმლო წერილიდან, რომელიც ჩვენს მკვლევართ დღემდე შეუცმხნეველი დარჩენილია, დავინახავთ, რომ მას განზრახვა ჰქონდა ქართლ - კახეთის სამეფოს აღდგენისა იმ ფარგლებში, რაიც იმერეთისათვის უკვე მიენიჭებინა ციციანოვს.

ამის შესახებ, როგორც აღნიშნეთ, პრინციპიალური თანხმობა იმპერატორისაგან მან ადრევე მიიღო იმ პირობით, თუ ციციანოვი ამ გეგმას დასტურს მისცემდა... და გულის ძვირით ელოდა პეტერბურგის ქართველობა ციციანოვის პასუხს ამ შეკითხვაზე.

\*) ნოტებში, რომლებიც მათ გასცვალეს ნათქვამია: მე-5 მუხლში, § 2, ..., ისე, როგორც აქამდე ვიყავ ჩემს ქვეყანაში თვითმპყრობელი, ასე უნდა დავრჩე მომავალშიაც შეუხლუდეველ უფლებით... რათა ერთგულნი ჩემნი დავაჯილდოვო და ორგულნი დავსაჯო“ და სხვა. იხ. „აქტი“ ტ. მე-2.

ესლა გადავიდეთ მინისტრ კოჩუბეის აღნიშნულ შეკითხვაზე ციციანოვისადმი. 8 ივლისს 1804 წ. ის სწერდა მთავარმართებელს:

„იმ პუნქტების მიღებასთან დაკავშირებით, რომელთა ძალით იმერეთის მეფე უნდა შემოყვანილ იქმნას მისი იმპერატ. აღმატებულობის ქვეშევრდომობაში, და რომელიც თქვენ მიერ დადასტურებულ იქმნენ, მოწყალეო ხელმწიფევ, ამას წინადაც აგრეთვე სამეგრელოსათვისაც,—და ამას გარდა, იმ არეუ - დარევათა გამო, რაიც თქვენ იპოვნეთ საქართველოს მმართველობაში, და სხვა... ხელმწიფე იმპერატორმა გამოსთქვა აზრი, რომ იქნებ შესაძლებელი იყოს საქართველოშიაც (ე. ი. ქართლ - კახეთში) დაგვარსებინა მმართველობა, რამდენიმეთ მიმსგავსებული (დაახლოებული). იმ მთავრობასთან, რაიც არსებობენ სამეგრელოში და იმერეთში, ე. ი. რომ ჩქაც შესაძლებელია დაწესდეს მთავარი, რომლის ძალა - უფლება არ უნდა აღემატებოდეს იმ ძალა - უფლებათ, რაიც მინიჭებული აქვთ აღნიშნულ ორ მთავართ (მმართველთ)... ამით ჩვენ შევინახავდით იმ გავლენა - უფლებებს, რაიც მოგვეპოვება და ამ ახლად შემოსულ სამთავროში უფრო მტკიცედ დავმკვიდრდებოდით. ამით ჩვენ გაღმოვიბრებდით ქართველთ, თუ კი მათ მართლაც დღემდე კიდევ შეუნახავთ შესაფერი ლტოლვა (მომხრობა) თვის სამეფოსახლისადმი... და წავაერთმევიდით სხვებს საბაბს ეფიქრათ,—თითქოს ჩვენ ყველაფერი (ე. ი. ძალა - უფლებანი) გვინდა მხოლოდ ჩვენთვის მივითვისოთ...“ შემდეგ მინისტრი დასძენს, რომ ეს დავალება მას მისცა თვით ხელმწიფემ, რომ „გაცნობოთ თქვენ, რათა შეუფასოდოთ ის აღვილობრივ მდგომარეობას და დასკვნა თქვენც წარმოუდგინოთ იმპერატორს; და თუ თქვენ ამ წინადადებას სასარგებლოდ დანახავთ, უნდა მოგვაწოდოთ ამასთან შესაფერი გეგმაც,—თუ როგორის წესით უნდა დამყარდეს ამგვარი მთავრობა და რომელი წევრი საქართველოს სამეფო ოჯახიდან შეიძლება დაინიშნოს ამ ხარისხზე?“ (ე. ი. მეფის, „ანუ. მთავრის\*).

ამრიგათ, კოჩუბეი ეკითხება ციციანოვს, თუ როგორის წესით შეიძლება აღდგენილ იქმნას ქართლ - კახეთის სამეფოს ტახტი და ვინ უნდა დაინიშნოს საქართველოს სამეფო ოჯახის წევრთაგან ამ ტახტზედო. და ხელმწიფის ინსტრუქციისა თანახმად მინისტრი სწერს, რომ ეს კით-

\*) იხ. „აქტი“ ტ. მე-2, გვ. 51, № 74.

ხვა ჯერ გადაწყვეტილად არ ჩაითვლება, სანამდე თვით ციციანოვის სათანადო თანხმობას არ მიიღებს ხელმწიფეო, ხოლო თუ, რაიმე მიზეზთა გამო, ის მთავარმართველმა უარჰყო, მთელი ეს ამბავი დარჩება კონფიდენციალურად... და ბოლოს დასძენს, რომ დიდათ კმაყოფილად და ბედნიერად სთვლის თავის თავს, იმის გამო, რომ ხელმწიფემ ასეთი დიდი ნდობა გამოუცხადა თავად ციციანოვს ამ საკითხის გადაწყვეტის საქმეში...

მაგრამ გრავის ამ მოხერხებულმა და თავაზიანმა სტილმა ვერ გასჭრა და ციციანოვმა ამ კითხვაზე მალე ცივი უარით უპასუხა; მთელი ეს საქცია მან შეუფერებლად, მავნებლად და იმპერიის პრესტიჟისათვის საზიანოდ დასახსნა და ხელმწიფეს ერთსელ ადებულ გეზზე დარჩენა ურჩია... ეს ეხლა მისთვის მით უფრო ადვილი იყო, რომ მან უკვე შესძლო აჯანყების მეთაურების (ბატონიშვილ იულონ - ფარნაოზის) შეპყრობა, რაც ახარა პეტერბურგის მთავრობას.

ამ რიგად დამარცხდა ეს უკანასკნელი აქცია მინისტრ კოჩუბეისა, რომელმაც ხელმწიფის წინაშე თავი გაწბილებულად იგონო... ოცნება პეტერბურგის ბატონიშვილთა და საუკეთესო მამულიშვილთა, ერთსელ კიდევ ჩაესვენა... კერძოდ, ყოფილი შემეკიდრე დავითი ცხარე ცრემლებით დასტიროდა ამ უკანასკნელ შუქის ჩაქრობას. ეხლა მისი აღსება ბნელმა წყვილადმა მოიცო და ტყვეობაში მყოფმა ქართველ ლიტერატურის და ისტორიის სამსახურის მიუტანა ზეარაკად თავისი ლტოლვილობის უკანასკნელი წლები...

მაგრამ ციციანოვი მაინც არ ისვენებდა, ის შორიდან თვალყურს ადევნებდა ბატონიშვილთა ცდებს, რათა მომავალში სამუდამოდ აეციდინა ლაშქარშვილის და ბატონიშვილების ახალი დივიზიები, საქართველოს საკითხის შემოსაბრუნებლად (კოჩუბეის და პ. ბაგრატიონის დახმარებით)...

მას სწაღდა, რაც შეიძლება დაჩქარებით დიდი და ცივი ლოდინადეო ბაგრატიონთა "საფლავზე" და ისიც რუსულის წარწერით...

სამწუხაროდ, ჩვენ ვერსად ვიპოვეთ მთავარმართველის პასუხი, რომ ის სიტყვა - სიტყვით მოგვეყვანა; მაგრამ დანარჩენ მასალათა შესწავლა გვარწმუნებს, რომ ეს პასუხი ციციანოვმა თავისებურად მზაკვრულად შეადგინა და მთელი ეს „პროექტი“ საქართველოს გაცოცხლებისა რუსეთის დეჟუდინებელ მტრებს, „ტახტისა და

საქმის გაჩეხვად დარჩენილ“ ბაგრატიონებს მიასწერა... ეს მოხსენებები ციციანოვს 19 სექტემბერს და 29 ოქტომბერს 1804 წ. (როცა „მთიულეთის“ და ოსეთის აჯანყება სისხლში ჩახრჩობილი იყო), გადმოუგზავნია ხელმწიფისათვის.

მინისტრი კოჩუბეი გულის ტკივილით აღნიშნავს ამ „გამარჯვებას“ ციციანოვისას და ხელმწიფის ახალ ინსტრუქციის თანახმად სწერს მთავარმართველს, რომ მისი პასუხის შემდეგ, რომელიც ასე უარყოფით ეკიდება ხსენებულ შეკითხვას, ხელმწიფე იმპერატორი საქართველოს საკითხს დამთავრებულად სთვლის და საქმე არჩევს გადაეცემა...

„ამით გაუწყებთ, რომ თქვენს მოხსენებებზე 19/9 და 29/10 1804 წ.“ სწერდა მინისტრი ციციანოვს, „ხელმწიფემ“

1. შესახებ პროექტისა საქართველოს მთავრობისა (მმართველობისა): — მისმა იმპერატ. უმაღლესობამ წაიკითხა რა თქვენი ბრწყინვალეობის დასკვნა, — შესახებ მსგავსი მთავრობის შემოღებისა ქართლ - კახეთში, რაიც მთავრობა ამ უმად იმერეთში და სამეგრელოშია, — ინება ებრძანებინა, რომ ის ცნობს ამ თქვენს დასკვნას სრულიად საფუძვლიანად, და რომ ამის გამო, პროექტი (აზრი) ქართლ - კახეთში მსგავს მთავრობის შექმნისა, ყველა ამ მოსაზრებათა გამო, უნდა დატოვებულ იქნასო“. (ხაზი ყველგან ჩვენია).

2. რაიცა შეეხება უნდობლობას და განდგომას საერთოდ სამეფო სახლის, წვერთა და კერძოთ ბატონიშვილ დავითისას, რის შესახებ თქვენ მოგვასხენებთო“... ამ საკითხს ცნობათა გამორკვევის შემდეგ ცალკე დაუბრუნებოთ\*).

აქედან აშკარაა, რომ ციციანოვს აღნიშნულ მოხსენებებში არა მარტო კოჩუბეის პროექტის წინააღმდეგ მოაქვს იეროები, არამედ იმ წრის წინააღმდეგ, რომელმაც 3 წლის შემდეგ კვლავ მოახერხა ამ კითხვის ხელახლა წამოყენება. ეს იყო პეტერბურგის ქართველთა და კერძოთ ბატონიშვილთა წრე, რომელიც თავის კავშირს ცნობილ პეტრე ბაგრატიონთან და ს. ლაშქარაშვილთან ასე მარჯვეთ იყენებდა და ქსელს პეტერბურგის სასახლეში აბამდა... მაგრამ საბოლოო გამარჯვებისათვის ციციანოვს საჭიროდ მიიჩნდა სასწრაფო ზომების მიღება, რათა ბატონიშვილით, პეტერბურგში რომ იმყოფებო-

\* ) იხ. „აქტი“, ტ. მე-2, გვ. 1022.

დენ, ყოველგვარი ნდობა დაპყრობადთ მთავრობისა და კერძოთ ხელმწიფის თვალში.

ყველა ამ დოკუმენტების ჩამოთვლა, რომლითაც ციციანოვი გადასახლებულ ბატონიშვილებს „აშავებდა“, შორს წაგვიყვანდა. დასახსიათებლად ჩვენ ერთს მოვიყვანთ: კოჩუბის წინადადების გაწვილების შემდეგ, 14/10 1804 წ. ციციანოვი ხელმწიფეს მოახსენებს, რომ მან პირადათ დაჰკითხა დავით ბატონიშვილის შიკრიკს შალბათაშვილს და დასძინს: „ამ დაკითხვის ასლს აქვე ვაახლებ თქვენს იმპერატ. უღადებულესობას და თქვენ იქედან ნახავთ არა მარტო მტრულ განწყობილებას საქართველოს სამეფო სახლის წევრებისას რუსეთისადმი, არამედ გაეცნობით იმ მიზეზებსაც, რამაც ააგულიანა ბაბა - ხანი დაძრულყო ჯარებით საქართველოს საზღვრებისაკენ...“

... ამას ვაუწყებ თქვენ იმპერატ. აღმატებ.. რათა დარწმუნდეთ, თუ რაოდენ ძნელი იქნება ჩემთვის და ჩემს შემდგომ ჩემი მოადგილესათვის, ვებრძოლოთ გარეშე მტერს მაშინ, როცა სწორედ თქვენის უმადლოესობის **სარეზიდენციო**

**ქალაქში იყოფებიან** ამ მტრებზე (ე. ი. სპარსელებზე) **უფრო მავნებელი მტრები**, რომლებიც აქეზებენ საქართველოს მეზობლებს ამ ქვეყნის საწინააღმდეგოდ...“ და სხვ.\*).

როგორც აღვნიშნეთ, ეს მოხსენება ერთი მრავალთაგანია, რომლის მიზანია პეტერბურგში გადასახლებულ ბატონიშვილების წრე დამალოს და მისი თვალსაჩინო წევრები კიდევ **უფრო შორს გაამგზავრების** ხელმწიფეს; რათა ამით სამუდამო დაეწყებას მიეცეს საქართველოს და მისი ტახტის საკითხი და კოჩუბის მიერ მომხდარი ცდები შომაგალში აღარ განმეორდეს.

ბოროტი აჩრდილი ციციანოვისა კვალ და კვალ დადევდა საქართველოს მესვეურთა წრეს და ლამობდა მათ სამუდამო დადუმებას.

არც საქართველოში დაბრუნებულ ყოფილ ელჩებს აღირსა მან მოხსენება; მაგრამ ეს ცალკე კვლევის საგანია და მეტად საინტერესო. ამაზე შემდეგ...

აკაკი პაპავა.

\*) იხ. „აქტი“, ტ. 1-ლი, გვ. 92, №141.

### ადამიანის ჯანმრთელობის საკითხი

#### წერილი მეორე.

წარსული საუკუნის მეორე ნახევარში და ამ საუკუნის პირველში ყველა სამეცნიერო დარგში და საექიმოშიდაც ბევრი რამ იყო აღმოჩენილი და მიგნებული, რაც წინად გაუგებარყო იყო და საიდუმლოებით მოცული. ადამიანის სხეულის შესწავლამაც დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ და ყოველი განვითარებული ადამიანისათვის ცხადი და ადვილი გამოსარკვევი გახდა რა არგებს სხეულს, რა პირობები ესაჭიროება მის წესიერ მუშაობას და რა საშუალებით შეიძლება მავნებელი გავლენის აცდენა და შესუსტებება.

ამის და მიუხედავად განათლებულმა კაცობრიობამ საკმაოდ ვერ გამოიყენა ყველაფერი, რაც მეცნიერებამ გამოარკვია და ნებით თუ უნებლიეთ სულ სხვა გვარად მოაწყო თვისი ცხოვრება.

მიუხედავად ამდენი დაწინაურებისა და წინმსვლელობის ხელის-შემწყობ პირობების აღმოჩენისა, ადამიანი ყველაზედ უფრო უყურადღებოდ იკიდება თავის სხეულს და ამ შესანიშნავ მანქანას, რომლის მსგავსიც არაფერი არ მოიპოვება დედა-მიწის ზურგზე, ეპყრობა გაუბრთხილებლად, დაუზოგავად, შეუბრალებლად, უდ-

იერად და მტრულად. ეს დიდებული მანქანა — ადამიანის სხეული — თითქმის თავმინებებულა და პატრონის შეუქმნიველად და შეუცნობლად მუშაობს. მისი პატრონი არაფერს არა ჰკრძნობს იმ რთული და მრავალ-ფეროვანი მუშაობისას, რომელიც შეუჩერებლივ დღე და ღამე სწარმოებს მის სხეულში, როგორც მღვიძარების აგრეთვე ძილის დროსაც-კი.

უმთავრესი მიზეზი ასეთი სამწუხარო მდგომარეობის არის ის ნაკლოვანი და უცნაური აღზრდა, რომელიც ეძლევა სასწავლებელში ყოველ მოწაფეს, ეგრედ წოდებული „განათლების მისაღებად“, რომელსაც აქვს თავის საფეხურები: პირველ-დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი. მაგრამ ყველანი „უმდაბლესს ხარისხს“ ვერ გასცილებიან, თუ ვიგულისხმებთ ადამიანის სხეულის და მისი მოვლის შეგნებას მხარეს. სასწავლებლების გეგმას რომ დაუკვირდეთ, ყველგან, დაწინაურებულ ქვეყნებშიაც-კი, შეამჩნევთ მრავალ და სხვა და სხვა დარგის საგნებს, გარდა საკუთარი სხეულის შესწავლისა და მოვლისა. მრავალ უსარგებლო რამე ცნობებს აძალებენ ახალგაზრდა ნორჩ მოზარდის ტვინსა და მეხსი-

ქრებას, რაც ხშირად ზედმეტი და გამოუსადე-  
გარია. და რაც-კი სამუდამოდ და ყოველდღიუ-  
რად საჭიროა და გამოსადეგი, როგორც მაგალი-  
თად საკუთარი სხეულის შესწავლა და მოვლა  
—სრულებით ნახსენებიც არ არის სასწავლო გე-  
გმაში. ეს დარგი მხოლოდ მათთვის არის საჭი-  
როდ დასახული, ვინც ბუნების-მეტყველობისა  
და საექიმო დარგის უმაღლეს სასწავლებელში  
შედის. დანარჩენებმა განა არ უნდა იცოდნენ,  
რაც არის საჭირო სხეულის რიგიანი შესწავლი-  
სა და მოვლისათვის?! დანარჩენებმა რა და-  
ამავეს, რომ უფიქრად უნდა გამოიზარდნენ ამ  
საჭირო დარგის გაუთვალისწინებლად და შეუ-  
გნებლად თავის- თავისავე საზიანოდ და გასა-  
უბედურებლად! ეს ნაკლი ხომ სამუდამოდ რჩე-  
ბა და მერე ე. ი. სწავლას დამთავრების შემდეგ  
ძნელი შესავსები ხდება, რადგანაც ეხლანდელი  
ცხოვრების პირობები არ უწყობენ ადამიანს  
ხელს, რომ მერე ჩაუჯდეს რისამე საფუძვლია-  
ნად და ზედმეტივით შესწავლას. ასე რომ ეს  
ნაკლი სამუდამოდ რჩება შეუქსებელი და მისი  
შედეგიც მეტად საგრძნობელია, რადგანაც შე-  
ეხება მთელი სხეულის კეთილდღეობას.

„განათლებულმა“ ადამიანმა, ეხლანდელს  
ყალბი შეფასებით, უთუოდ უნდა იცოდეს მრავ-  
ალწლო წვრილმანი ისტორიული წარსულის: დიდ  
ნაკლად ითვლება მაგალითად, ტროადის ომის  
ამბავის დავიწყება, ან ალექსანდრე დიდის ომე-  
ბის და ქსერქსისა და არტაქსერქსის ამბავი. ასეთ  
ადამიანს უსწავლელს და გაუნათლებელს ეძახი-  
ან — მაგრამ ამავე ადამიანმა რომ არ იცის უბ-  
რალო რამე: როგორ უნდა ისუნთქოს, როგორ  
უნდა ეჭიროს სხეული, როგორ უნდა სჭამოს სა-  
ჭმელი—ამას არავინ უსწავლევლობად არ ჩამოაჩ-  
თმევს და არც ყურადღებას მიაქცევს! ამიტო-  
მაც ხშირად შეხვედებით ეხლა ისეთ მოწაფეს,  
რომელსაც საუკეთესო ნიშნები აქვს მიღებული  
სასწავლებელში, თითქმის პირველებში ითვლე-  
ბა, მშობლებს გარდა, სხვებიც-კი შეჰხარიან მის  
ნიჭსა და უნარს და ამავე დროს ასეთმა წარჩი-  
ნებით „განსწავლულმა“ ახალგაზრდამ არ იცის  
რიგიანი სუნთქვა, არ იცის რიგიანი დაჯდომა,  
მოხრილია წელში, ჩამოვარდნილი მხრებით, მო-  
შვებული მკერდით, ინდაურივით ჰყლაპავს საჭ-  
მელს, თითქოს ვინმე მოსდევსო, არ აგარჯიშებს  
თავის სხეულს, წიგნებში აქვს ჩარგული ცხვირი  
და ეს არის საუკეთესო ნიმუში ეხლანდელი გან-  
სწავლილი ახალგაზრდა ადამიანის, ქალი იქნე-  
ბა ეს თუ ვაჟი. ეხლა ამას დავუმატოთ კიდევ:  
თუ ბევრს ჰკითხულობს, ღამეს ათევს, ძილს

იბრთხობს, მეორე დღეს თავის ტკივილით გაბ-  
რუებული დგება — მაშინ ხომ აღტაცებაში არი-  
ან მშობლები: — ბევრს ჰკითხულობს ძალიან,  
განვითარებული აქრის და სხვა ქათინაურებს  
არ აკლებენ. ამასობაში ხასიათი უფუჭდება მო-  
ზარდა, ძნელად თუ რამე ესამოგნება და ახალ-  
გაზრდული ხალისიც ეკარგება. თუ გადააჭარბა,  
მაშინ, თითქოს სანუგეშოდ დაუმატებენ „ცო-  
ტა ნერვიული“ არისო და ამით თავდება საქმე.  
არც თვითონ და არც მის გარემოში მყოფნი ერ-  
თი წუთითაც არ ჩაუფიქრდებიან ნამდვილ მი-  
ზეხს, და რომ კიდევ ჩაუფიქრდნენ, რას უზამენ?  
უკვე დაგვიანებულია ამის გამოსწორება. უკვე  
სასწავლებელშია გაუკუღმართებული ყველაფე-  
რი, რის გამოსწორებაც უკვე ძალიან ძნელია...

ამნაირად მთავარი მიზეზი ჯანმრთელობის  
დამასუსტებელი არის თანამედროვე სასწავლე-  
ბელი და მისი უკუღმართი, „ჰიგიენის უარყოფ-  
ველი“ აღზრდა. ეს არის პირველი სათავე ადა-  
მიანის დამასუსტებელი და სათავეშივე სხეულის  
კეთილდღეობის გამანადგურებელი. ეს მით უფ-  
რო არ ეპატიებათ თანამედროვე „პედაგოგებს“,  
რადგანაც ყველაფერი ეს ცხადია და გამოირკვე-  
ული მეცნიერების მიერ. ნახევარი საუკუნის წი-  
ნად დიდი დავა იყო ატეხილი იმის მისაგნებათ,  
თუ რა ასუსტებს მოზარდის სხეულს. არჩეული  
იყო კომისიები, სობორნში პროფესორი ალ-  
ფრედ ბინე აწარმოებდა დიდის ყურადღებით  
ფიზიოლოგიურ სხვა და სხვა ცდას, ეგრედ წო-  
დებულ „სასწავლებლის ნეფრასთენის“ მიზეზე-  
ბის გამოსაკვლევადა. იტალიის მეცნიერის მოს-  
სოს ახლად გამოგონილი „ერგოგრაფით“ მშვე-  
ნივრად იყო შესწავლილი ადამიანის კუთების  
ძალა. დალილობის ნიშნებიც ირკვევოდა და  
იწერებოდა ამ „ერგოგრაფით“. გაკვეთილის ხან-  
გრძლივობას და მის შედეგსაც პირ-და-პირი იკ-  
ვლევენ. სხვა იარაღებიც იყო საამისოდ მო-  
მარჯვებული. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ,  
რაც უკვე დაბეჭდილი და საქვეყნოდ ცნობილი  
გახდა, გამოირკვა, რომ მოწაფეს შეუძლია კარ-  
გად მოისმინოს გაკვეთილი მხოლოდ 45 წუთს.  
ამის შემდეგ იწყება დალილობის ხანა, როდეს-  
აც მოწაფის მოსმენისა და შეთვისების უნარი  
კლებულობს. ამიტომაც გადაწყდა: გაკვეთილი  
არ უნდა გრძელდებოდეს 45 წუთზე მეტად.  
ამას უნდა მოჰყვეს 10 ან 15 წუთის დასვენება  
და შემდეგი გაკვეთილი. ეს დებულება არ მოეწო-  
ნათ მასწავლებლებს და თან-და-თან გააბათი-  
ლეს იგი.

ნახევარი საუკუნის შემდეგ ხელ-ახლად ასტყ-

გა განგაში საფრანგეთში სასკოლო ასაკის ახალ-გაზრდობის მოქანცულობის შესახებ. კიდევ კომისიები, კიდევ ამ საკითხის აწონ-დაწონვა. მე რომ ის მასალა წამომელო, რაც ნახევარი საუკუნის წინად აქ იბეჭდებოდა და საქართველოში წავიდე, პირ-და-პირი გამეორება დამტკიცდებოდა წარსულის ღაღადების. თითქოს ეს საკითხი პირველად ყოფილიყო წამოჭრილი მეცნიერების საყურადღებოდ. მეტი შედეგი ამისი როგორია—თუ იკითხავთ? შედეგი ბევრად უარესი. ადამიანის ჯანმრთელობის შეუფერებელმა პედაგოგებმა აქაც თავისი გაიტანეს. სხვა და სხვა უცნაური მოსაზრებით თავის თავიც და უფროსებიც დაარწმუნეს, რომ სასწავლებლის სასწავლო გეგმა ვერ შესრულდება, თუ მეტი დრო არ დაეთმობა გაკვეთილებს, ვიდრე ეს ნაგულისხმევია ჰიგიენური პირობების მიხედვით. ამ ჯიუტობამ, აშკარად მიმართულმა მეცნიერული საფუძვლით დადგენილ ზომიერების წინააღმდეგ, შემოაღებინა შემდეგი უცნაური წესები: 45 წუთის მაგივრად მთავოლეს თითო საათიანი გაკვეთილი და ხან-და-ხან ერთი და ორი-კი არა, სამი და ოთხიც გადაბეს განუწყვეტილად. ასე რომ სრულებით უკუღმართად სრულდება მეცნიერების მიერ დადგენილი სავალდებულო მოთხოვნილება. და ეს მანებელი ჩვეულება გავრცელებულა მთელ საფრანგეთშიაც.

ჩემდა განსაცვიფრებლად ვნახე ამის მსგავსი თები მაროკოშიდაც-კი, სადაც ფრანგულ სკოლებში მეტროპოლიის გეგმას სასწავლებელში შემოღებულა. იქაც „მუყაითი“ მასწავლებელი სცდილობს რაც შეიძლება მეტი ასწავლოს მოწაფეს და მე თვითონ ვნახე, როგორი დაქანცული და სავსებით მოშვებული ბრუნდებოდა ჩემი შვილი-შვილი ამგვარად გადაბმულ დაუსრულებელ და შეუსვენებელ გაკვეთილების შემდეგ. ასეთის უცნაური წესით არა თუ არ იხსომებდა ყველაფერი, არამედ წინად ნასწავლაც ავიწყდებოდა. სწორედ გამახსენდებოდა ხოლმე თქმულება ამბროსი ნიკარესელის შესახებ ვადმონაცემი: რომელსაც ძალიან უჭებდნენ მჭერ-მეტყველურ ქადაგებას. მაგრამ ისეთი კარგი ქადაგება იცოდაო, რომ ხალხი იდგა და ისმენდა „ვერს გამოშტანი ივრცა ერთისა სიტყვისა“—ო. სწორედ ასე მოხდოდა ჩემს შვილი-შვილს, რომელიც ვაბრუებული ბრუნდებოდა „ვერს გამოშტანი ვერცა ერთისა სიტყვისა“. და როგორ გათავდა ეს ამბავი? მასწავლებელმა ურჩია დედამას კიდევ ცალკე მასწავლებლის აყვანა და შედმეტი გაკვეთილების აღება. ბავშვი არ არის

უნიკო, მაგრამ ზარმაცობსო!— აი მათი ბრძნული აღსნა და გამოსავალი ღონისძიება: კიდევ დამატება ისედაც მოჭარბებულ მუშაობაზე, უფრო მეტი მუშაობისა!

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც საფრანგეთში ერთმა სწავლულმა (გვარი მისი არ მაგონდება) იმის დასამტკიცებლად, თუ რა ცვლილება ხდება ადამიანის სხეულში სისხლის მოძრაობის მხრივ, გონივრულ მუშაობის დროს, გამოიგონა მეტად კარგი მოწყობილობა. წარმოიდგინეთ ადამიანის დასაწოლი ფიცრის ლოგინი, რომელსაც ფეხები არა აქვს. ეს ლოგინი უნდა იქნეს ერთ მხვილ ღერძზე ისე დადებული, როგორც სასწორის უღელი. დაწოლილი ადამიანის სიმაღლე ისე აწევება ამ ღერძს, რომ ორივე ბოლო ამ ლოგინისა სწორწონობის წესით თანაბრად ჰორიზონტალურია. ისეთია ეს სასწორისებური მოწყობილობა, რომ ოდნავი უმნიშვნელო სიმაღლემეც-კი მოქმედებს მახედ, რაც გამოისახება იმით, რომ დამძიმებული მხარე იწყებს დახრას და დაწევას ძირს სწორედ ისე, როგორც სასწორის დამძიმების დროს ხდება ეს.

ამგვარად მომზადებულ ლოგინზე დააწვენენ ადამიანს, ისე რომ ორივე მხარე თანასწორია. დაფაზე ცარცით დაწერება რომელიმე რიცხვი, მაგალითად ოთხმნიშვნელობიანი, ქვეშ მოუწერენ ამნაირსავე რომელიმე რიცხვს. მწოლიარე ადამიანი კარგად ხედავს დაფას და უნდა დაიწყონ გამრავლება. დაიწყებს თუ არა კარნახს „ხუთეულ ერთი 5, სამჯელ სამი 9, რვაჯელ სამი 24 და სხ.“ რიცხვები იწერება მისი კარნახით. ამასობაში უკვე იწყება ლოგინის დახრა თანდათან და ნელ-ნელა სწორედ იმ მხარეს, საითკენაც ადამიანის თავია. ეს მოასწავებს იმას, რომ რაღაც სიმაღლე მოემატა თავის მხარეს. შემდეგ დაუწყებენ უბრალო საუბარს, რასაც დიდი ყურადღება არ სჭირდება და არც დაძალება გონივრული მუშაობის. ამასობაზე თანდათან ხედავთ, რომ ლოგინის დახრილი მხარე იწყებს ხელახლად ზევით აწევას და ყველაფერი ძველ მდებარეობას უბრუნდება. ვადმეორებთ კიდევ ამავე ცდას და მყისვე თავისაკენ მდებარე ნაწილი იწყებს დახრას. დასკვნა ამისი ცხადია: ეს დამძიმება თავის გამოწვეულია სისხლის მოწოლით, რაც ამტკიცებს იმას, რომ გონებრივი მუშაობისათვის საჭიროა შედმეტი სისხლის მიწოლა თავის ქალაში იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ეს მუშაობა გრძელდება. ეს დამტკიცება იყო ნამდვილი მეცნიერული და უტყუარი.

ამის შემდეგ საბოლოოდ გამოიკვია, რომ გა-



დაჭარბებული, შეუსვენებელი გონივრული მუშაობა მავნებელია სხეულისათვის და მეტად დასმქანცავია საერთოდ ნერვებისათვის. ყველა=სათვის ცნობილია ვახდა, რომ ხანგძლივი მიწო=ლა ზედმეტი სისხლის, როგორც აუცილებელი შედეგი შეუსვენებელი მუშაობის, სხეულს ისე=თი მნიშვნელოვანი ნაწილისაკენ, როგორც არის თავის ტვინი, ყველა ნერვების მემცველი და ამმუშავებელი, უვნებელად ვერ ჩაუვლიდა სხეულს და დიდ გავლენას იქონიებდა მის წესი=ერ მუშაობაზე. საბედნიეროდ თვით ბუნებამ, თითქოს განსაკუთრებულის წინდახედულობით, თვითონვე დააწესა კანონები, რომლის დარღვე=ვაც ადამიანისათვის ძალიან ძნელია და შეუძ=ლებელიც. როგორცკი გადააჭარბებს ადამიანი ზომიერს საზღვარს გონივრული მუშაობისას, მაშინვე მას ასტიკივდება თავი და ეს ტკივილი ძალა=უნებურად შეაჩერებებს მუშაობას — ეს არის პირველი აკრძალვა. და მეორე საშუალება=კი ის არის, რომ ერთგვარ საზღვრამდე ადამიან=ნი ახერხებს წაკითხულის შეთვისებას, მაგრამ თუ მეტად გადააჭარბა, იგი ვერაფერს ველარ ითვისებს, ტვინი თითქოს იკეტებაო, რამდენჯე=რაც არ უნდა წაკითხოს, ვერაფერს ვერ იხსო=მებს და მრავალი გამეორებითაც ვერაფერს ვერ იცებს. აი ასეთ მდგომარეობაზე სინანულით იტყვიან ხოლმე: „ვკითხულობ, მაგრამ თავში არაფერი შემდის“=ო. მაღლობა ღმერთს, რომ არაფერი არ შედის! თორემ ჯიუტი მოწაფე, შე=ტადრე „უვიცი“ მასწავლებლის დაძალებით, გადააჭარბებდა ზომიერებას და სულ გაიფუტებ=და თავის საქმეს, ძალიან მალე დაადგებოდა რომ იტყვიან „გამოყრუებისა და გამოჩერების“ გზაზე, მისი მველა და წამლობა შეუძლებელია. ქება და დიდება ბუნების კანონების წინდახე=დულობას!...

ასეთი საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ სწა=ვლა=განათლების მეთაურნი თითქოს უნდა და=რწმუნებულიყვნენ, რომ მასწავლებლებში სწა=ვლა და შინ გატანებული სავალდებულო მუშა=ობაც უნდა შეფარდებულიყო ამ ფიზიოლო=გიურ მოთხოვნილებასთან. მაგრამ სამწუხაროდ აქაც იმავე შეუგნებლობამ იჩინა თავი: შემოკ=ლების მაგვრად, ვაკვეთილები უფრო გააგრძე=ლეს და შინ სამუშაოც ისე გაუდიდეს მოწაფე=ებს, რომ სწავლის გათავების შემდეგ, მთელი საღამო კიდევ სწავლას უნდა მოანდომონ.

ჯანმრთელობის დასუსტება, მასწავლებლის მავნე პირობებით გამოწვეული, მარტო ამ ერთ მხარეს — ფიზიკურს, კი არ უზიანებს მოზარდ

თაობას, არამედ ზნეობრივსაც დიდ დაღს ადებს და სულიერსაც; რადგანაც ყველაფერი ეს ერთი — ერთმანეთზედ მეტად დაკავშირებულია.

ერთხელვე თუ დასუსტდა სხეული, ცხადია იგი საკმაო წინააღმდეგობას ვერ გაუწევს სხვა=და=სხვა ავადმყოფობას, რომელიც ყოველთვის ემუქრება ადამიანს, და თუ საუბედუროდ შეხ=ვდა რაიმე, ცხადია დასუსტებულს უფრო მეტ ზიანს მიყენებს, ვიდრე მავარსა და ბრვე სხე=ულს.

ასეთია მოზარდი თაობის დამასუსტებელი აღზრდა, რომელიც ბევრს ისეთ ნაკლს შეიცავს, რისი მავნებლობა უკვე მიგნებულა და გამოორ=კვეული, მაგრამ სამწუხაროდ „შეუგნებლობის“ გამო სრულებით უყურადღებოდ დატოვებული. ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, სანამ ნამდვი=ლი სწავლა — განათლების საქმე ჯანმრთელობის დაცვაზე იქნება დასყარებული და არა მის და=სუსტებაზე. ამას უნდა საცხებით გარდაქმნა არ=სებულ წესებისა და ხელახალი აღზრდა ყველა იმ პირების, ვინც ეხლა მასწავლებლობის საქ=მეს ემსახურება. ამ გარდაქმნას არაფერი არ ემ=ველება, რადგანაც თვითიული მასწავლებლის ხელ=ახალი გაწრთვნა და თავისი რთული და მეტად დიდ — მნიშვნელოვანი მუშაობისათვის მომზადება შეუძლებელია. ამას დაჭირდება რა=მოდენიმე წელი და თანაც ნახევარზე მეტს გა=მორიცხვა მასწავლებელთა რიცხვიდან, შეუფე=რებლობისა და ავადმყოფობის გამო. ავადმყო=ფობად აქ ვვულისხმობთ ნამდვილ ავადმყოფო=ბას=კი არა, რომელიც სიცხითა და ტკივილებით გამოისახება, არამედ ისეთს „ავადმყოფობას“, რომელიც გამოისახება მასწავლებლის ცუდი, დაუდევარი და ავი ხასიათის სახით, სადაც მო=წაფის სიყვარული არ არსებობს. ყველაფერი ეს ნაკლი ძალა — უნებურად ვნებას აძლევს მოწა=ფეს და მაზედ ახდენს ცუდს გავლენას. ძალიან ბრძნულია ძველი ქართული თქმულება: „ცემა გმართებს აღმზრდელისა, როს ყმა ნახო ცუდათ ზრდილი“=ო. დიდი ჭერმმართებაა ამ სიტყვებ=ში და რომ ეს კარგად სრულდებოდეს სწავლა — განათლების საქმეში, ბევრად უფრო ბედნიერი იქნებოდა ეხლანდელი საზოგადოება და ბედნი=ერნიც მათი მოწაფენი. საზოგადოებას ნაკლებად ეყოლებოდა ნაადრევად დაავადმყოფებუ=ლი წევრები, როგორც ფიზიკურად, აგრეთვე ზნეობრივად და სულიერადაც. უფრო ნაკლები იქნებოდა ველურობის გამომსახველი ხშირი ბოროტ=მოქმედება და მკვლელობა, რისი მოწა=მენიც ვართ ეხლა ყველა ქვეყნებში მომხდარ

მაგალითების მიხედვით. ადამიანის ბუნება ზოგჯერ სანთელივით ადვილი ჩამოსასხმელია, თუ ამისი მცოდნე ჩაიგდებს მას ხელში და არა უფიცი და უგულო. მაგრამ ეს თავის დროზე უნდა მოხდეს და ყველაფერი იხლანდელ პირობებისა=ვით კი არ უნდა უშლიდეს ხელს, არამედ ეხმარებოდეს.

ჩვენ ვიცით, რომ ყველაფერი ეს ძალიან ძნელი განსახორციელებელია, როდესაც ველურობის ნიშნები ჯერ არ დაჰკარგვია თანამედროვე კაცობრიობას. მაგრამ ისიც არ გვაფიქვდება, როგორც ჩვენმა აკაკიმ სთქვა: „ოცნებისა საშ-

თავროში ამას ჰქვია სიზმარეთი“. მაგრამ რა ვაფიქვობა, ცხოვრებელს უკუღმართობის მოწამედ დარჩენის დროს, ხან-და-ხან რომ წავიოცნებოთ, დიდ დანაშაულად არ უნდა ჩამოგვევრთვას... ამით თუ არაფერი გაკეთდა, მაინც არაფერი დაშვდება. საჭიროა, თუ რამე ხდება ცუდი და უწესო, ვიცოდეთ მაინც, მისი წარმოშობის სათავე და მისი მიზეზებიც. შედეგებიც: ცოდნა მთავრებული არაა და მკითხველისთვისაც იმედია შესაწყნარებელი არის.

ექ. ვახტანგ ლამბაშიძე.

ი შ ო ღ ა ა რ ა ი შ ო რ ა

(მოგონებანი \*)

შესავალი:

ვფიქრობ, საჯარო ცნობილი ამბავია, რომ ქართველ ადამიანს ღირსებით ეჯავრება ორი რამეს გაკეთება: წინასწარ **ანდერძის** შედგენა და **მემუარების** დაწერვა. ესთქვათ „ანდერძის“ უყურადღებოთ დატოვება უფრო ორთული მოირალოური, ან ოჯახური მოსაზრებით უნდა ხდებოდეს. იგი არც თუ ძალიან სასიამოვნო ლიტერატურული ვარჯიშობაა, მეტადრე თუ შორიდან იმ ფრანგულ გამოთქმას მივუყენებთ, რომელიც ამბობს: **«Partir c'est mourir un peu»**. მაგრამ „მოგონებებს“ რომ განხედ ვუდგევართ, ეს უფრო დაუდევრობით და შეუგებლობით მოგვდის... ეს კი ყოვლად მთავრებული ჩვეულებაა! აბა წარმოიდგინეთ რამდენი სახელ ვანთქმული მოღვაწე ისე წავიდა, რომ შთამომავლობას არაფერი არ დაგვტოვა თვისი ნახულის შესახებ, რითაც მოგვაკლო იმ წარსულ დროთა ღრმად გაცნობა და შეფასება.

თუ ასე მოგვექცენ ჩვენი დიდი კაცები, აბა დანაშთენებზედ რაღა გვეთქმის! ესენი, მცირე გამოკლებით, თითქოს ვალდებულად არც-კი ხდიდენ თავიანთ თავს მოგონებანი შეედგინათ...

კულტურულ ერებში-კი საქმე სულ სხვაფრივ არის მოგვარებული. ექ არამც თუ შესამჩნევი პირები ადგენენ საყურადღებო მემუარებს, არამედ დიდს საქმეებზედ განხედ მდგომნიც უტოვებენ მომავალ თაობებს მათ მიერ ნახულ-ვაგონილების ამბებს, რითაც ხელს უწყობენ ფრჩხად

საინტერესო მასალების დაგროვებასა, თუნდაც ის მასალები დაუმუშავებელიც იყოს...

ჩემს თავად, ამ ჩემი მცირე შრომით, ჩემის „ზღაპრებით“, მეც შევეცადე სწორედ იმ მშრალი მასალის წარმოდგენა, რომელმაც, იქმნება, ჩვენი საზოგადოებრივობის მომავალ მეთისტორიულ რამეში ხელი შეუწყოს...

საუცხოვო რამ არის ქართული ზღაპრების დაწყება „იყო და არა იყორა“! როგორც ყველა ის, რასაც მთელი ერის შემოქმედების ბეჭედი ადევს, — ასე მოკლედ მოჭრილი სიტყვათ სწორედ გენიალია!

ხალხის მიერ გამოთქმული ზღაპრები, მართლა „ზღაპრები“ ხომ არ არის! თავის ზღაპრებში ყოველი ერის თავის რწმენას, დაკვირვებას, აზრს და შეხედულობას გამოსთქვამს, — დღეს სამყაროსა და შემომქმედზედ, ხვალ ადამიანის ცხოვრებაზედ, ხალხების და კერძო ადამიანთა ერთმანეთთან დამოკიდებულებაზედ; ჰკიცხავს მას, რაც გასაკიცხი მიაჩნია, აქებს და ადიდებს, რაც იმის თვალში მოსაწონია; ასამართლებს მეფეებს და დედებულებს, გულს უყუთებს, იმედების მიცემით, ამხნეებს დავრდომილთ და დევნილთ; მოუჩივრებლად, და თან შეუპოვრადაც ებაძაება და, ხშირად, ეკამათება კიდევ თვით ღმერთებს, ძირსა სცემს ძლიერს, აღამაღლებს დაჩაგრულ დაცემულს, ჰკიცხავს აწმყოის უკუღმართობას, ნდობით შეჰყურებს მომავალს...

ყოველი ერის ზღაპარი, ერთსა და იმავე დროს, გასართობი „ზღაპარიც“ არის, მისი რჯულის დებაც, მისი სამართალიც. შიგაა მისი ფილოსოფია და ხელოვნება, მისი ცრუ-მორწმუნობა და მეცნიერებაც.

\*) უადგილობის გამო ჩვენ ვაქვეყნებთ მხოლოდ ზოგიერთ ნაწილებს, ბატონ გ. ყურულის მეტად საინტერესო მოგონებებიდან. რედ.



ყველაფერი, რასაც ხალხი ზღაპრებში ეხება, —მას ნამდვილად, ცხოვრებაში მატერიალურად მოცემულად მიაჩნია; ამიტომ ამბობს იგი ზღაპრის შესავალში: „იყო“, ესე იგი „ნამდვილად იყო და არა მოჩვენებაა“. მეორე მხრით, იგი ინტუციით, თუ საღის შემეცნებით თითქო ეტყობს, რომ ის რაც „იყო“ და მას ნამდვილად მოევიღინა, იქნება ეს მხოლოდ მის წარმოდგენაშია და ყველა, რაც, ვითომდა, „იყო“, მარტოდენ მოჩვენებაა და სხვა არაფერი?....

აი ამ გვეს იგი მოკლედ და მკაფიოდ ამ სიტყვებით გამოსთქვამს: „და არა იყორა“!

როდესაც ჩვენ მოგონებათა წარმოდგენა განვიზრახეთ, სულ პირველად შიშს მივუცით და გავიფიქრეთ, — შევძლებთ-კი ყველა იმის სისწორით და უტყუარად გადმოცემას, რაც ჩვენს ცხოვრებაში გვინახავს და გავვიგონია?!...

ეს ხომ უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებთა არც ერთი დარგი არ არის ისე აღსავსე შეცდომებით, უსწორ-მასწორობით და ტყულებითა-კი, როგორც „მოგონებანი“. და ეს მიუხედავად იმისა, რომ დამწერი ცდილობს მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტება და სიმართლე ანუტსოს.

რატომ ხდება ესა, საიდან იჩენს ხოლმე თავს ის წყეული, არამკითხე, სიყალბე, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ მართლის თქმა უნდა ადამიანსა?! ჩვენში ხალხმა ჩინებულად ახსნა ეს გამოცანა თავისი ზღაპრების დასაწყისში...

სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ჩემი მოგონებანი, ეს ჩემი „ზღაპრები“, მეც ამ სიტყვებით დავიწყო: „იყო და არა იყორა“.

### თავი პირველი:

მემუარების კლასიკური სტილი რომ სავსებით დაცული იყოს, ვგონებ, სავალდებულოა ავტობიოგრაფიული ცნობათა დაწერილებით გადმოცემა. მე ვეცდები ამ წესს ნაკლებად დავემორჩილო. ვისთვის რა საინტერესოა კერძო კაცის ცხოვრების დეტალები, რომელიც მხოლოდ მას შეეხება. შეიძლება ყველა ეს საყურადღებო იყოს ოჯახური ქრონიკის შედგენის დროს, მაგრამ, რადგან არც კლასიკური ყაიდის მემუარების, და არც ქრონიკის წერას არც ვაპირებ, პიროვნულსა და კერძობას მხოლოდ იმდენად შევხები, რამდენადაც ეს დამახასიათებელი იქნება საზოგადოებრივი მოვლენებისათვის. ამნაირად, ჩემი კერძო ცხოვრების ფაქტებს იმდენად გამოვიყენებ, რამდენადაც ეს მიშველის, რომ ამ-

ბების გადმოცემის დროს გზა არ ამერიოს: ვითომ ჩვენ სოფლის, არბოს, ის ორღობე ყოფილიყოს, პატარობისას რომ ჩავყვებოდი ხოლმე, რომ ჩვენი ზვრის გზა არ ამრეოდა...

განსვენებული დედა - ჩემი, ქეთევანი, (1841-1912 წ.), იმ ქართველ მანდილოსანთა წრეს ეკუთვნოდა, რომელნიც დაბადებულნი და აღზრდილნი იყვნენ, როდესაც ძველი ფეოდალური ტრადიციები ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ საქართველოში. მიუხედავად ამისა, იმისმა თაობამ და წრემ აღრევე აულო ალლო ახალ დროებას და თავშივე სასეებით მიემხრო ჩვენში მოღვაწე ახალ თაობას და მხურვალე მონაწილე გახდა იმ საზოგადოებრივ მოძრაობისა, ჩვენში ახლად ფეხს რომ იდგამდა იმ დროში...

ოცი წლის ძლივს იქმნებოდა ქეთევანი, როცა გათხოვდა დურმიშხან ჟურულზედ, რომელსაც პატარაობიდანვე იცნობდა. ლუა ნამორაძეს ოჯახი დაახლოვებული იყო შალვა ჟურულის ოჯახთან. როდესაც პირველი თავის სახლობით და მხლებელ - ჯალაბით დაიდურადა „საგერი-სთით“ სოფელ არბოსკენ, იქ მას შელვასაგან ყოველთვის გულწრფელი და გულუხვი მასპინძლობა მოელოდა, ქართული წესით დროს გატარებით, იმ ისტორიულ ბაღში, სადაც უკანასკნელად მომხდარა შეყრა შეთქმულთა რუსის ბატონობის წინააღმდეგ, ბატონიშვილი ალექსანდრეს თანდასწრებით და თაოსნობით. ჩვენი მამა - პაპეული სახლი ამ ბაღის შუაში იდგა. ახლად სამსახურში შესულს დურმიშხანს ხშირად უხდებოდა ალაგების გამოცვლა და ახალ მხარეებში მისვლა - მოსვლა. ამ გარემოებამ მისცა საბაბი ქეთევანს გასცნობოდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებს, შეეძინა ახალი ნაცნობობა, თვალი უფრო მეტად გაეხილა და გასცლოდა იმ კარჩაკტილობას, რომელიც მაშინ ჩვეულებრივი იყო მისი წრის უმრავლესობისათვის.

აი აქ იწყება ქეთევანის გაცნობა ზოგიერთ ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. ყველაზე დიდ პატივს იგი დიმიტრი ყიფიანს უძღვნიდა, რომელსაც ძია დიმიტრით იხსენიებდა. დიმიტრი და ლუა შორი ნათესავენიც ყოფილან.

განსვენებული ჩვენი მწერალ - მოღვაწე ანტონ ფურცელაძე ახლო მეზობელი იყო ჩვენს ოჯახისა და დედა ჩემი, ტფილისში ჩასვლისას, აუცილებლად ესწრებოდა ხოლმე ანტონის ბინაზედ გამართულ ყრილობებს, სადაც ქართველი ახალგაზრდა მოღვაწენი იყრიდნ თავსა. ეს კრებები სწორედ იმ ქუჩაზედ იმართებოდა, რო-



მელსაც დღეს, სრულად საბუთიანად, ანტონ ფურცელაძის სახელი ეწოდება, კალოუზნის აკლესიის (ესლა დაუნგრევიათ) ჩასახვევში.

საუცხოვო სანახაობა რამ იყო ის კრებები, ისინი უფრო არალეგალურ სტუდენტურ „სხოდკებს“ მიემსგავსებოდნენ. ეს ქართული „სხოდკები“, ადმინისტრაციის თვალში ასახვევად უთუოდ ტრადიციული ვახშმებით თავდებოდა, სადაც გულუხვი ანტონი და მისი პატივცემული მეთლვე მარია ნამდვილ ქართველურ მასპინძლობას იჩენდნენ, არბოდან ჩამოტანილ კაკალა პურების, გოჭების და ინდოურების უხვად მოძღვნით.

ერთ კრებაზედ მეც წამიყვანა დედაჩემმა, მაშინ მე ნორჩი მოზარდი კადეტი ვიყავი. ექ ჩემი თვალით მინახავს და ჩემი ყურით მომისმენია, კრებაზედ ჩურჩულით როგორ გადასცემდნენ ერთი - მეორეს პეტერბურგში მოწყობილ პოლიტიკურ გამოსვლებს იმბებს. იმ კრებაზედ, სხვათაშორის, ავაკი წერეთელმა პირველად წაიკითხა თავისი ცნობილი მოხსენება „ვეფხისტყაოსანზედ“, სადაც, როგორც მივხვდი, იგი ამტკიცებდა, რომ ირუსთაველმა თავის პოემაზე გამოყვანილი ტიპებით დაახასიათა საქართველოს ესა თუ ის კუთხე. ასეთი ყრილობების გამართვა შემდეგში ჩვეულებათ გადაიქცა ქართველ ინტელიგენციაში. თვით ჩვენს ოჯახშიც, ხშირად იყრიდნენ თავს ქართველი ახალგაზრდა მწერლები, მსახიობები, საზოგადო მოღვაწენი.

ჩვენმა ნიჭიერმა მწერალმა დ. კლდიაშვილმა მოიხსენია მოგონებებში თავისი დასწრება ამ კრებებზედ და დედა ჩემის ცდები, რომ მას, დავითს, რუსეთიდან ახლად ჩამოსულ ახალგაზრდა ოფიცერს კარგად შეესწავლა ქართული ენა... ალექსანდრე ყაზბეგი ერთ დროს მათუქმნი ცხოვრობდა და ისიც ხშირი სტუმარი იყო დურმიზხანის და ქეთევანის ოჯახისა, სადაც იგი შვილივით და ძმასავით იყო მიღებული.

როგორც ვთქვით, ქეთევანს პატარაობიდანვე შეუყვარდა ქართული წიგნების კითხვა. ჯერ სულ ყმაწვილი იყო, როდესაც ლექსების წერა დაიწყო, მაგრამ თავის ნაწერებს, არავის უჩვენებდა: „მე ჩემთვის ვწერ, ჩემ ფიქრებს ვესაუბრები, ეს სხვებს არ ეხებაო“, იტყოდა ხოლმე.

.....

ქეთევანს არასოდეს არ მოსვლია ფიქრად მათი გამოქვეყნება. საუბედუროთ, ის რვეული, სადაც განსვენებულის ლექსები იყო, მისივე ხე-

ლით ჩაწერილი, ამ რამოდენიმე წლის წინათ დაიწვა ბერლინში სხვა ჩვენი ოჯახური ნივთებთან ერთად, ამ ქალაქის დაბომბვის დროს.

ორმა მისმა ლექსმა მაინც მიიპყრო ქართველების საკმაოდ ფართე წრეს ყურადღება.

ერთი ამათაგანი ქეთევანმა დასწერა იმ დღეებში, როდესაც საქართველოს მოეფინა, ჩვენი დიდი მამულიშვილის, დიმიტრე ყიფიანის, მოკვლის ამბავი; ქართული საზოგადოება ღრმად იყო დაწმუნებული, რომ იმპერატორის ალექსანდრე მესამეს, ბრძანებით, ქუთაისის მარშლობიდან გადაყენებული და ძალით სტავროპოლში გადასახლებული მცხოვანი დიმიტრი, სწორედ რუსეთის მთავრობის აგენტებმა მოკლეს. ვამოძიებამ ერთი რამ გამოამკარავა უტყუარად: განსვენებული არ იყო გაცარცული, ოქროს საათიც კი არ წაეღოთ. მკვლელებმა რაღაც მძიმე ჩვენის იარაღი დაარტყეს მძინარე მოხუცს და როდესაც დაწმუნდნენ, რომ იგი მოკვდა, შემჩნეულად გაიკრიფნენ.

ეს საზარელი ამბავი საქართველოს რომ მოედო, დიდი აღშფოთება და ეროვნული გლოვა გამოიწვია ჩვენს ხალხში!

სწორედ მაშინ დასწერა დედა ჩემმა პატარა ლექსი, სათაურით:

„და დიმიტრის ხსოვნას“ და თავის ხელით მიაწერა იმ სურათზედ, რომელიც ჩვენს სასტუმრო ოთახში იყო მუდამ მოთავსებული სხვა ქართველ მოღვაწეთა სურათებს შორის.

აი თვით ლექსიც:

„ოდეს ვუყურებ შენს ღვთიურ სახეს,  
მინდა რომ მარად გეამბორებდე,  
დიდებით მოსილს ჭაღარა თმაზედ  
ვით ვარდის კონას გეკონებოდე.  
მაგ ბრძენ შუბლზედა და მაგ წყლულზედა  
ნეტავი წამლად გენაცხობდე,  
იმ შენი მკვლელის სისხლის შადრევანს,  
როგორც ცივ წყაროს, ვეწაფებოდე“.

მეორე მისი სულ პატარა, ცხრს სიტყვიანი „ლექსი - გამოთქმა“ მოულოდნელად მთელ საქართველოს მოეფინა. ორიოდ ადამიანმა თუ იცოდა ავტორის სახელი, მისმა მახლობელ-მეგობრებმა.

ეს „გამოთქმა“ ჩემი თაობის ხალხმა ზეპირად ვიცოდით, ამ სიტყვებით:

„ყანწით ვსვამ ღვინოს  
თქვენ სადღეგრძელოს  
და გაუმარჯოს  
ჩვენს საქართველოს!“  
საინტერესოა გაცნობა, რა პირობებში მომხ-

დარა ამ ლექსის დაწერა და ხალხში გავრცელება.

სოფ. ფცაში, ალექსანდრე ბაგრატიონ დავითიშვილის ოჯახში, მიწვეული ყოფილა ცნობილი ფრანგი მცენერეი - არქეოლოგი ბარონი დე ბაი, რომელიც საქართველოში მოგზაურობდა ჩვენი ქვეყნის სიძველეთა გასაცნობად. მხიარულ ქართული ნადიმის დროს, უცხოელ სტუმარს მასპინძლებმა სახსოვრად ყანწი მიართვეს. იქ მყოფ დედა ჩემს მიმართეს თხოვნით, რომ შესაფერი, მოკლე ლექსი გამოეთქვა, რომელიც ყანწზედ უნდა წაეწერათ.

ქეთევანი ადგა სუფრიდან და მეორე ოთახში გავიდაო. იქ ტახტზედ ჩამოჯდა და ერთი ქოში რომ წაიძრა ფეხიდან, რომელსაც იტკივებდაო, გადმოგვცეს იქ დამსწრეთ, ერთბაშად მოითხოვა ქალაქი და ექსპრომტათ ის სიტყვები დასწერაო. მოსწრებულად დაწერაო „გამოთქმა“ ყველას მოსწონებია და, თურმე ხუმრობით აცივდებოდენ ავტორს:

„ქეთევან, ნეტავი მეორე ქოშიც წაგეძრო, რომ ეგ ლექსი გავრძელებულიყოვო“.

ამ ამბის შემდეგ გაიძრა კარგა დრომ. სოფელ ქურთაში (ამ უამად სამხრეთ - ოსეთშია), ჩასონ მაჩაბელთან დიდი წვეთლებაა. ნადიმზე ტოლუმბაშათ ქეთევანია არჩეული. ის შესაფერ

ტონს და მიმართულებას აძლევს სუფრას: სამხიარულო ტოსტებთან ერთად, სიტყვები და ლაპარაკი საერთო და საზოგადო ტემებზედაცაა. შუა სუფრის დროს შემოვა ერთი დაგვიანებული სტუმარი და თან ცხინვალიდან ახალი გაზეთებიც შემოაქვს. გაშალეს გაზეთი „ევერიის“ უკანასკნელი ნომერი და თვალი მოჰკრეს იქ დაბეჭდილ ილია ჭავჭავაძის შესანიშნავ სიტყვას, რომელიც მას ერთი სკოლას (თუ არ ვცდები წინამძღვრიანთ კარის სკოლის) გახსნის დროს წარმოეთქვა. ქეთევანმა მოითხოვა საზოგადოების სმენა. ილიას სიტყვა წაკითხული იყო, მსმენელნი აღტაცებულნი იყვნენ, ამ დროს ტოლუმბაში აიღებს ხელში ყანწს და ილიას სადღეგრძელოს ამ სიტყვებით აპოლოებს:

„ყანწით ესვამ ღვინოს მის სადღეგრძელოს და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს!“

იქვე, ნადიმზე დამსწრე მაკრინე ამირჯჯიბისამ, შესანიშნავმა მცოდნემ ძველი და ახალი ქართული სიმღერა - ჰანგებისა, თავისი შშენეიერის ხმით სიმღერით გაიშეორა ქეთევანის მიერ ნათქვამი ლექსი სწორედ იმ ჰანგით, რომელიც შემდეგში მთელს საქართველოს მოეფინა,

(გავრძელება შემდეგ ნომერში)

გიორგი შურული.

ლ ე გ ე ნ დ ა რ უ ლ ი ზ ე თ ლ ე მ ი

საქართველო!.. წარმოადგენთ რა ამ ზღაპრულ ქვეყანას მისი ულამაზესი ბუნებით, იმ წამსვე გადაეშვებოთ ცეცქ და მჩქეფარე მდინარეთა, ცამდე აზიდულ მთებისა და ვარდ ყვავილთა სამფლობულოში. და რა გასაკვირია, რომ ასეთ კუთხეს შეექმნას დიდად საინტერესო და განსაცვიფრებელი ლეგენდები!.. ლეგენდები, რომელთაც სტატებს აზიდულ მთას თვითეული მდინარე და ახლის ზღვის ნაპირებს ყურში. ყველაზე მდიდარი ლეგენდები ყაზბეგის მთა - მყინვარს შეუქმნია და გადაუცია ქართველ ხალხისათვის.

თვით ბუმბერაზმა და შუბლმაღალმა ილიასაც ხომ თვის უკვდავ „განდევლოს“ ერთ - ერთი ასეთი ლეგენდა დაუდო საჩუქლად 1883 წელს!.. და დღეს, პატივცემული მკითხველო, ამ სოემაში აღწერილი ბეთლემის მონასტერი ცხადლყვიათ, ნამდვილად არსებულა ჩვენს სამშობლოში. სწორედ ასე, როგორც აღწერა ილიამ:

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწიფნი ვერ შეკვებიან,

სად წვიმა - თოვლინი, ყინულად ქმნილინი, მზისგან აროდეს არა ჰდნებიან, სად უღაბურსა მას მყუდროებას კაცთ ყრბამული ვერა შესწვდენია, სად მეუფება ჭექა - ქუხილსა, ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშეთენია, — უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა გამოუქებავთ მუნ მონასტერი და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს ბეთლემს უწოდებს დღესაცა ვრი. ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს იმ წმინდათა სადგურს ყინულის ზღუდე და ზედ კარისა გამოკვეთილი, ვით კლდის ნაპირზედ არწივის ბუდე. ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, — და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით ვერ ძალუქს ასვლა ვერარა კაცსა“ .....

\*\*

გასული წლის ზაფხულს თბილისიდან ყაზბე-

ვის მითსაყენ ვაგმგზავრა ბავშვთა ერთ - ერთი ტურისტული ჯგუფი. ვამგზავრების წინ, ქართული ისტორიის ღრმად მცოდნე მასწავლებელმა—მზია ერისთავმა—თავის მოწაფეებს უამბოვანუშის გეოგრაფიიდან და ილიას პოემაში აღწერილი ბეთლემის გამოქვაბულის შესახებ. ამ ბავშვებს მიყვებოდა ქართველი მეტეოროლოგი შალვა წერეთელი. ბავშვები წმინდა-საბების ზემოთ მდებარე მონასტრის ნახვით არ დაკმაყოფილდნენ და შალვას ბეთლემის გამოქვაბულის ჩვენება მოსთხოვეს. ამაზე შალვამ მათ უპასუხა, რომ ასეთი რამ აქ არ არსებობსო. მაგრამ, დაბრუნდა რა იგი მეტეოროლოგიური სადგურში, სადაც ცხოვრობდა, მისი თავი ექვებმა შეიპყრო და დაიწყო გულმოდგინეთ იმ არე-მარეს შესწავლა. ერთ მშვენიერ, მზიან დღეს, როცა იგი დაღლილ - დაქანცული ისვენებდა ერთ ნაპრალთან, ზევით ახედვისას მან გადმოკიდებულ ჯაჭვს მოჰკრა თვალი უცაბედათ; მერე-კი, როცა დაინახა თვით კარებიც, საიდანაც ეს რკინის ჯაჭვი ეშვებოდა ძირს, კინაღამ გულწასული დაეცა მიწაზე. გაიფიქრა, ვცდი ჯაჭვზე ასვლასო, მაგრამ შეეშინდა, ძველია და ვაი თუ გაწყდესო. კარგად დაიხსომა ის ადგილი და დაბრუნდა სახლში.

თავი სიზმარში ეგონა. ეს რა მარგუნა ბედმაო; ათასი ურთი - ერთ საწინააღმდეგო აზრი ეჭიდებოდა იმის თავში ერთი - მეორეს: რა საიდუმლოებაა დამარჩული ამ გამოქვაბულში? რამდენი საუკუნის ისტორია აქვს მას? რატომ გაჰქრა მისი კვალი?.. ანდა, ვის შეეძლო ამ უშველებელი ჯაჭვის გაკეთება და გადმოკიდება? ამ სულის შემხუთავ კითხვებისათვის რომ პასუხი გაეცა, მსწრაფლ მიამურა მან თბილისის ალპონისტების ჯგუფს. ექსპედიციაში შევიდნენ: შალვა წერეთელი, ლევან სუჯაშვილი, რომელმაც თურმე შალვაზე ადრე აღმოაჩინა ეს ჯაჭვი, და სხვები. მეთაურობა ალექსანდრე ჯაფარიძეს — გამოჩენილ ალპინისტა სიმონ და ალექსანდრეს დას—დაეკისრა.

ძალიან დიდი წვალების შემდეგ, მათ წილად ხვდათ, არა ჯაჭვით, არამედ სხვა გზით, ასვლა და კარების ზემოთ გაკეთებულ, ნახევარ-წრისებურ ნახვრეტში გადაძრომით, საკანში შესვლა (გარედან კარები ვერ გაუღიათ). ჯაჭვი-კი, როცა ასწიეს ზევით, არამც თუ დაძვლებული ყოფილა, პირიქით, ყანვის ნატყმალის-კი არა სცხებია ზედ. იგი რვიანისებური ნაწილები-საგან ყოფილა გაკეთებულ, სივრცით ათი ს.მ. და ოთხი ს. მ-ის დიამეტრით. გამოქვაბული კი

ზღვის დონედან 4100 მეტრის სიმაღლეზე ყოფილა და სრულიად მიუდგომელი ადგილის შთაბეჭდილებასა სტოვებს. მზის სხივები, ილიას თქმისა არ იყოს, მასში სამხრეთიდან ეშვებინან: „...ბნელსა სენაკსა, სად იგი მდგარა, ჰქონია მზის მხრივ ერთი სარკმელი და მუნით თურმე გადმოდენილა შუქი მზისა და მთვარის ნათელი. ოდეს უდაბნოს ვასწვრივ მთის წვერზედ მზე სხივ გაფენით ამოვიდოდა, იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა“...

შეგ ბევრი ნივთიც აღმოუჩენიათ: დიდი ბრინჯაოს სასანთლე მე-VII საუკ., ჯვრები, ხატები, ქვის საჯდომები, საზიარებელი, ერეკლე მეფის ორი ვერცხლის მანეთიანი, XV საუკუნის მეორე ნახევრის ერთი ქართული მანეთიანი, შვიდი ირანული მანეთი XVII და XVIII საუკუნეებისა. ამტკიცებენ, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ვილაცას უცხოვრია შიგაო. მეტად საინტერესოა თურმე ის ხმა, რომელსაც ამ სენაკის იატაკი იძლევა მასზე დაკაკუნებით. ადვილი წარმოსადგენია, რომ იმის ქვეშაც არსებობდეს რაიმე მონასტერი; ან შეიძლება მის ახლო-მხლო. მათი აღმოჩენით, შეიძლება ჩვენი ისტორიის ბევრი ახალი ფურცელიც დააწეროს. საინტერესოა შივაქციით ყურადღება ერთ გარემოებას: ყველამ ვიცით, რომ მცხეთის განძეულობას, მტკაბა შემოსევისას, გადამალავდნენ ხოლმე, და ადვილი წარმოსადგენია აგრეთვე ისიც, რომ საიდუმლოება ამ გადამალვისა გამქრალიყო მესაიდუმლის მოულოდნელი სიკვდილის გამო.

განა საიდუმლოების გაუმჟღავნელობის გამო არ დაეკარგეთ ბრწყინვალე თამარის საფლავი?!.. წარმოუდგენელია მისი არ არსებობა და ისიც, რომ ვინმეს არ სცოდნოდა. მაშინ საქმე სამკითხავოთ არ გვექნებოდა: მისი წმინდა საფლავი გელათის მონასტერშია, ბეთანიაში, თუ სხვაგან სადმე? ან შეიძლება ბეთლემის მიდამოებში.. ამის თქმა ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია; მაგრამ ერთი რამ-კი უდაოა: ბეთლემის რაიონში ჯერ კიდევ მრავალი საიდუმლოებაა ჩამარხული.

\* \* \*

ბეთლემის გამოქვაბული მონასტრის აღმოჩენა გონება წარმოატყა თავისი ზღაპრული სინამდვილით.

„კარლუს დიდი მოურავის“, ჩვენი ილიას, მიერ „დიდებულ მთასა მყინვარსა“ ზედ მონასტრის

ა. დ - ძე.

აღწერას, პოეტის აღმადგურენას ვაწერდით და საზღაპრო ამბად მიგვაჩნდა.

სინამდვილე ყოფილა, ისევე როგორც საქართველოს ისტორია საზღაპრო სინამდვილეა.

როდესაც კალე სალიამ მყინვარზე ჯაჭვ ჩამოკიდებულს გამოქვაბულის აღმოჩენის ამბავი გადმომცა, რალაც აუწყურელმა გრძობამ შემიპყრო და სულის სიღრმეში დიდი ძმედი დამიბადა. შობაგონდა ერთი ძველი ამბავი, რომელიც არასოდეს ჩემს გონებაში არ ჩამქალა.

კარგად მახსოვს: ერთ დღეს, დაახლოებით 1893 - 4 წელს, ჩვენსას, ვახშად იყვნენ ანტონ ფურცელაძე, ნიკო ხიზანიშვილი და რამოდენიმე ქართველი.

ბასის დროს მოიგონეს შემდეგი:

თურმე ერთი ქართველი (თუ არა ვცდები— ისე რაჭველი) მამა ჩემთან ხშირად მოდიოდა და აწმუნებდა, რომ ყოველ წელს, მყინვარის ერთ მიუსავალ გამოქვაბულში, სადაც მხოლოდ მას შეეძლო ასვლა, თამარ - მეფესთან აქვს პაემანი. თამარი მას საქართველოს ბედს შესახებ ესაუბრება, და შემდეგი შეხვედრის დღეს დაუნიშნავს ხოლმე. ეს პაემანი ყოველთვის მთვარე - სრულ ღამეს არის ხოლმეო.

დაჟინებით სთხოვდა, თურმე მამაჩემს, თან წაპყლოდა და თამართან ერთად ესაუბრაო.

მამა ჩემი ამბობდა: „ისე ძლიერადა სწამს თავისი მოჩვენებების ხორცმესხმული სინამდვილე, რომ თამართან ბასს, ამ ბასის და გამოქვაბულის დეტალებს ისე ზედმიწევნით და ცოცხლად გადმომცემდა, რომ ხშირად მიფიქრია: „იქნებ მართო ილღუზის სხვერპლი არ არის და საფუძვლად რალაც სინამდვილეცა ჰქონდა. არაერთხელ ვადავწყვიტე თან წაყულოდი, მაგრამ, და შეიძლება სამწუხაროდ, ჩემი მეგობრები ჩემს სურვილს ყოველთვის გადაჭრით გადაგლობებოდნენ ხოლმე“ ო.

შემდეგში, როცა ამ ამბავს მოიგონებდა, ღრმა სინანულს გამოსთქვამდა, რომ არ შეეცადა გამოერკვია თუ ასეთი გამოქვაბული მონასტერი მართლა არსებობდა.

მამა ჩემს, ანტონს და ნიკოს შესაძლებლად მიაჩნდათ რომ თამართან მობაასე ქართველი მართლა აღიოდა მყინვარზედ მყოფ ერთ - ერთ გამოქვაბულში. დანარჩენს კი მის პატრიოტიზმით დაავადებულ ფანტაზიას შიწურდნენ.

მამა ჩემსს გარდაცვალების შემდეგაც, ეს ამ-

ბავი არა ერთხელ მოვგონებით დედა ჩემს, ჩვენს ნათესაებს და მეგობრებსა.

ბევრი იმ აზრისა იყო, რომ მოჩვენება იმ ქართველს მთვარის სხივების ზეგავლენით ელანდებოდა.

ეს მოგონება ყოველთვის იმ სასიამოვნო დასკვნით დამთავრდებოდა ხოლმე, თუ თამარის კულტს ქართველის გულში რა ღრმადა აქვს ფესვი გადმული.

სამწუხაროდ აღარ მახსოვს თუ ერთ - ერთ ამ მოგონებას ილიაც დაესწრო.

ეხლა-კი ვფიქრობ, რომ არ შეიძლება ილიას ეს ამბავი არა სცოდნოდა. მამა ჩემი ილიასთან დაახლოებული იყო; ანტონი და ნიკო ილიას ახლო მეგობრები იყვნენ და ამ ამბავს უეჭველად ამცნობდნენ.

ესეც რომ არ იყოს, თვით ის ქართველი, თამარს რომ ებაასებოდა, თავის თავგადასავალს, უეჭველად ილიასაც უამბობდა.

არც ილია დაიჯერებდა თამართან პაემანების სინამდვილესა. ხოლო, მე დღეს ღრმად მრწამს, რომ ის ქართველი სწორედ იმ ჯაჭვ - გადმოშვებულ გამოქვაბულში აღიოდა და თამარს ესაუბრებოდა, რომელიც დღეს აღმოუჩენიათ, და ვფიქრობ, რომ სწორედ ამ ქართველის ნაამბობმა ილიას პოეტურა შემოქმედებას, ამ გამოქვაბულის დიდებული აღწერის ელემენტი მისცა.

ეს ჩემი ჰიპოტეზა მით უფრო წონიანად მიმაჩნია, რომ ამ მონასტერის აღმოჩენამ ნათელსყო, თუ ილიას მიერ აღწერილი სურათი სინამდვილეს რა ზედმიწევნით ეთანხმება. „ზოლდის ძირამდე რკინის რამ ჯაჯვი ზედან ჰკიდია...“ რაც მართლა ნახეს; სარკმელი მზის მხრივ, საიდანაც სენაკში მზის შუქი და მთვარის სხივი „სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა“.. და სხვა. ის ქართველი თურმე ამბობდა: თამარი იმ გამოქვაბულში ასვენიაო. და აღმოჩენილი გამოქვაბულის აღწერა ხომ გვეუბნება, რომ იმედ - აქეთ. იატაკის ქვეშ კიდევ ბევრი დიდად საყურადღებო რამ ნახონ.

ვინ იცის! იქნებ ესეც მართალი გამოდგას და თამარ მეფის ღვთაებრივმა სულმა კვლავ ახალი ძლიერებით მოჰფინოს ქართველ ერს თავისი ღვთით დალოცვილი კალთა და ყოვლის შემძლე იმედი ახალის ბრწყინვალეობით ჩაეღონოს ქართველთა სულს!..

გიორგი კერესელიძე.

### ქართველი დედის წერილი ოფში გაყვანილ ოვილისადმი

ხმა მომესმა, შვილო, კართან გუშინა.  
შენ მეგონე: გულმა ცემას უწინა.  
წამოგვარდი. მეთუცხოვა არ იყავ  
და საგულემ გული ცივად გარია.

შენი პაწა სიდონია, თმათაფლა,  
მეკითხება შენზე ყველას უშალა.  
„მალე მოვა“ — ვეუბნები ხმადაბლა,  
ის კი მატყობს, რომ ცრემლებსა ვუშალავ.

უცხო ჩიტი მოფრინდება: გნოლია.  
მიჟღერტულებს რალაც ამბავს უგნებად.  
ნუგეშინით მამცდებს, მგონია,  
ხოლო გული მაინც სხვას მეუბნება.

ეგებ გცივა, შვილო, უცხო არეში:  
ყინვებია თურმე მანდ ნამეტნავი.  
რომ ვიცოდე, თუა კიდევ ნეტავი  
ცხრათვალა მზე საქართველოს გარეშე.

ან თუ გდინხარ, შვილო, სასტუმრ ვრდომილი,  
დაგტყენია შავად თავს უბედობა.  
ვინ ვიგულვო შენი კეთილმდომელი,  
რომ ლბუნებით გაგიწიოს დედობა.

გადაგცვას ნაზი ხელი ყვრიმალთან,  
მოგასხუროს სხივი ნატყრის-თვალისა,

ირემივით მხრებში რომ გაიმართო  
და მზეს შეხვდე ამომავალს ხალისად.

რა ვქნათ, შვილო! არ ძრის მეკომური,  
არ ყვედრადეს ეხლა ბედის-წერასა.  
ნალელითა საესე ყველგან გომურე,  
რომ აკლია ვაჟი მყუდრო კერასა.

ცრემლის დენით დაშრეტილი დედები  
ვეფინებთ თმაგაშლილი ტყე-ველთა:  
საქართველოს მიწის საკურთხეველთან  
მიგვაქვს ურვა ძუძუდამშრალ მკერდებით.

ვედრებაში დათუთქული გულები  
ისხმებიან ერთი გულის ცემადა —  
ქართველ დედის ხელით დანერგულები  
ზორვით ვაგროძობთ წმინდა გადმოცემათა.

დედაღვთისა იყოს ამის მოწმედა —  
ხაროთ გამძღენი ვით ულბობი ურთხველა.  
გადაეცი, შვილო, თანამომძმეთა:  
თქვენთან მოღის ჩვენი ლოცვა-კურთხევა.

გრიგოლ რობაქიძე

იანვარი 1943 წ.

ლბუნება — დაშუშება, დანელება.  
ურვა — წუხილი.  
ზორვა — მსხვერპლის შეწირვა.

### ვერის ხიდზე

ვერის ხიდზე მძიმე ღამით თმაგაშლილი ქარი მღერის.  
ლანდი დასტვენს ვერის ხიდზე: ლანდი თოვლის და ნამქერის.  
ვერის ხიდზე ქარი ზუის მწვანე ზღაპარს ანიაგებს:  
ეჰ! არული გაუმართავთ ვერის ხიდზე კუდიანებს.  
ვერის ხიდზე ქარი გიჟი დავლურს უვლის: სტვენს და ჰკივის.  
ჭინკა ჭინკას მისდევს ცეკვით. კუდიანი ხტის და ჰკივის.  
ვერის ხიდზე ველურ ხმაზე ქარი აყრის მტკვარს სიამეს.  
სისხლის ლანდი ვერის ხიდზე გულს ეჭრება მძიმე ღამეს.  
მძიმე ღამით ვერის ხიდზე მთვრალი ქარი სატრფოს ელის-  
ვერის ხიდზე ქეიფია გამართული გიჟი ველის.

გრიგოლ რობაქიძე

(ძველი რეგულიდან).

მ გ ო ს ნ ის ღ ღ ი უ რ ი

1.

ცეცხლის ვულკანი ამოვიარდა მიწის გულიდან,  
ჩვიის ქვეყანა ტუნჩიკით და მეცნიერებით,  
თავთუხის ნაცვლად დაუშრიტელ მიწის  
ხნულიდან  
მოღის ტანკები, ზარბაზნები რკინის ღერებით.

შავი ყორანი მიაქანებს ამ საუკუნეს...  
„გზა ხოცვა - ჟლეტას“! ვაჰყვირიან ურჩი  
ლანდები...  
ქარს გადარაზულს სიკვდილებმა დაუტაკუნეს

და უნათოდ ჩაბუტუნ ჩირაღდანები.  
ცრემლების დენას სიყვარული რატომ დანებდა?!  
რად შეუყვარდა ამ დროებას კაცის ჩონჩხები?!  
რად დაილესეს მსხვერპლისათვის პირი დანებება  
და რად გაიშვეს სამინდებმა შავი ფოჩები?!  
ხრდილივით...

2.

იღვრება სისხლი დედის ნაწით ვულს ჩანაჟონი,  
ბულრაობს ლანდი უღმერთობის, აღარ თენდება...  
როდემდის, ხალხო, ინავერდებს აშლილი ჟინი?!  
მე გავრმდები, რაც მოხდება, იყოს ღვთის ნება.  
ვნახოთ, რას მოგვცემს უნათო დღეის  
ცხოვრება!..

ვუცადოთ მიწას, მძიმე ჰაერს როდემდის ითმენს!..  
თუ ეღირსებათ ტიალ ლეშებს სადმე ცხონება  
და საწყაული აღევსებათ კერპებს და მითებს!..  
ვეჭვობ, დაწყნარდეს ჩემი გონება;  
ვეჭვობ, ვქარგავდე ლექსებს რითმებს!..

3.

ელვის სისწრაფით, ვით რაშები, დღენი მიჰქრიან...  
იჭვმა შემობურა, გამებზარა გულის ქარღვები...  
უმიზნოდ ყოფნა ამ მიწაზე არად მიქვიან...  
იყეფებიან და ღმუიან შავი ძაღლები.

4.

წინად ვფიქრობდი, ქრისტე აღზდგება  
და ეკლესია ჩამოჰკრავს ზარსა,  
მის მჭეჭარე ხმა კვლავ მოედება  
ჩემი სამშობლოს მთასა და ბარსა.

მაგრამ მოვტყუედი... ეჰ, ბაღლი ვიყავ...  
ფრთა შეეკვეცა ვიყური ოცნებას;  
არჩეულ გზაზე მაგრად ვმდგარიყავ,  
ყურს არ ვუვადებდი სხვის გაოცებას.

5.

სანამ ბედი თავს დამანახებდა,  
ცხოვრებას ვჭვრეტდი სხვადასხვაობით,  
გონებას თვალის სხივი არხევდა,  
არ იესებოდა იგი ჭაობით.

მასნოვს: ბავშვობა, ცეკვა - თამაში,  
ტოლ ბიჭებში რომ დავნაგარდობდი...  
მხოლოდ სიხარულს ვგრძნობდი ამაში  
და არაფერზე არა ვდარდობდი.

ო, რა ამაყად, ლალად ვიდოდი  
მთებში, ხეებში და ალაზნის დაცემულ ველზე!..  
უმანკო ვიყავ; უეშმაკო, არა ვფიქრობდი,  
დაილესავდა ბინძურ კბილებს ცხოვრება ჩემზე.

ხან წყალში ვიყავ, ტალღათ შორის დავქანობდი,  
ბაყაყთა ხროვას ვაყოლებდი ვიყურ სიმღერას...  
თევზებს ვიჭერდი და ბავშვურად მე ვამაყობდი...  
ხან ჩხუბის შემდეგ ეს ლოყები სისხლით მიღებავს.  
ეჰ, სადღა ვნახავ იმ დროებას?!.. ვაჰქრა  
ჩრდილივით...  
აწ ვერ მომიტანს სიტკბოებას მწარე ჩივილი.

6.

ბედო მითხარი: რას მემღერი? რა დაგიშავე?  
რად შემომოკლე ყმაწვილ კაცსა სიცოცხლის  
გზები?  
რატომ აღმასრთე ცრემლთა დენის გვირგვინი  
შავი?  
რად შემიკვეცე სანაგარდო არწივის ფრთები?

7.

რად გადუხადო მე ასეთ ბედს კრძალვით  
მადლობა?  
რა მოუტანა დაბინდულ გულს თესლი კეთილი?  
რატომ მიუძღვნა მგოსნის ვალობა?  
ლექსი ქანდაკად გამოკვეთილი?

8.

ეხლა, მგონია, ჩემი თვალები  
(წინად რომ სხივებს გამოაკრთობდენ)  
არიან უკვე, ო, ჩამქრალები  
და საცოდავად მნახველს აბრთხობენ.

9. იმედი

არა, არ მინდა დამეუფლოს უიმედობა,  
ვერას დამაკლებს უცხოეთის მელანქოლია;  
არც მინდა დარჩეს ჩემი ლექსი მთვრალის  
ყბედობად,  
არ მინდა ვთქვა, რომ მეგობარი არა მყოლია.

არც ის იფიქროთ, მომავალი აღარ მენდობა;  
მე ძლიერი ვარ, კუნთიანი, მაგარ - ძელიანი!..  
ჩემთან ბრძოლაში დამარცხდება უიმედობა  
და გაიმარჯვებს მგოსანი და აღამიანი.

ა. დ = ძე.

პარიზი. 1943.

# ქრონიკა

## ირაკლი ბატონიშვილის დის დაქორწინება.

ამა წლის 13 მაისს მოხდა ირაკლის დაქორწინება, ქალ. ლოზანის ბერძენთა ეკლესიაში, ირაკლი ბატონიშვილის დამ ლეონიდამ და რუსეთის ტახტის მემკვიდრემ, ვლადიმირმა, ჯვარი დაიწერეს.

დიდმა მთავრებმა დროებით საცხოვრებლად ისპანიაში მიიწვიეს, სადაც ბატონიშვილი ირაკლი იმყოფება, რომელიც იქ კულტურულ და საქველმოქმედო მოღვაწეობას ეწევა. ირაკლის მეუღლე ისპანიის ინფანტაა, შვილი-შვილი მეფე ალფონსო მე-XII-ისა და დისწულა მეფე ალფონსო მე-XIII-ისა.

## არგენტინიდან

ქართული ხელოვნების პროპაგანდის მიზნით, ქალ. ბუენოს-აირესში, ქართველ ლტოლვილთა სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით, განზრახულია ქართული ეთნოგრაფიული გუნდის შექმნა, ჩის-თვისაც ამ საქმის ხელმძღვანელი მოუწოდებენ ყველა იმათ (მომღერალთ, მოცეკვავეთ, მუსიკოსთ), რომელნიც მუშაობდნენ კავსადის, პაპიჯანოვის, მაყაშვილის, განსვენებულ შენგელიას და სხვათა გუნდში, დროზე გამოიყენონ „ირო“-ს მიერ მათი არგენტინაში უფასოდ გადაყვანის შესაძლებლობა.

## ჭ იოსებ (ოსია) ჯავახიშვილის დაღუპვა

ბეარიაში უბედური შემთხვევის გამო, დაიღუპა იოსებ (ოსია) ჯავახიშვილი, ერთადერთი ვაჟიშვილი მისი დამწუხრებულ მშობლებისა.

ოსია იყო სიცოცხლით სავსე, იშვიათი გულს და ზნეობის ახალგაზრდა ქართველი; მის რაინდულ ბუნებაში ღრმად იყო ჩაქოვილი მამულ-შვილობისა და მეგობრობის გრძნობა.

„ზედი ქართლისა“ ღრმა თანაგრძნობას უცხადებს ოსიას მგლოვიარე დედ-მამას, მეუღლეს და დას.

## კრებულის გამოწერა შეიძლება რედაქციაში.

ნომერი ღირს: საფრანგეთში — 150<sup>ფრ.</sup>  
საზღვარგარეთ — 200 ფრ.

## ქართველ მოღვაწეთა მოსახსენებლად პანაშვიდი ინგლისში.

ინგლისში მყოფ ქართველთა საზოგადოების გამგეობამ, 11 ივლისს ლონდონში ბერძენთა ეკლესიაში, გადაიხადა პანაშვიდი: სპირიდონ კედიას, პროფ. ზ. ავალიშვილის, შალვა ამირეჯიბის, ლეო კერესელიძის, ლადო ახმეტელის და გიორგი ჭაჭიაშვილის მოსახსენებლად.

## წერილი კადაქციის მიმართ

### ბ - ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული ჟურნალის საშუალებით მადლობა მიუძღვნათ ყველა იმათ, ვინც თანაგრძნობა გამოგვიცხადეს, ჩვენი საყვარელი ოსიას დაღუპვის გამო.

### ტერეზა, ივანე და ბარბარე ჯავახიშვილები.

მესამე ნომერში დაიბეჭდება გაგრძელება პირველ ნომერში მოთავსებულ წერილების:

„მარიაშ, საქართველოს უკანასკნელი დედოფალი — თამარ და აკაკი პაპავა.

„იესო ქრისტე და ქართველი ერი“ — გიორგი კერესელიძე.

„გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“ — ექ. გივი კობახიძე.

მორიგ ნომრისათვის ვადაილო აგრეთვე აწყობილი წერილები:

„ბასკური და ქართული ენა“ — შალ. ბერიძისა.

„სვეტი ცხოველი და მისი დამოკიდებულება ჯვარის კულტთან“ — ვახტანგ ციციშვილისა.

## შეცდომების გასწორება:

კრებულის „ზედი ქართ.“ პირველ ნომერში დაბეჭდილია გვ. 7, სვეტი 2, სტრ. 1 ქვემოდან: მართლსაჩინოა, უნდა იყოს: მართლსაჩინოა; იქვე სტრ. 15: დაბეჭდილია დავდ-ევ-ა, უნდა იყოს: დავდ-ვ-ა.

რედაქტორი: კ. ხ ა ლ ი ა.

8, rue Berlioz, Paris (16). Tél. : Passy 75 35.